ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 12 აგვისტო, 2011 | №190 (5571) | ფასი: 30 თეთრი

## ხინკალიც სომხური ყოფილა

გვ.4




# გიორგი გუგავა: „დენი და გაზი გაძვირდება!“



გვ.2

მთავრობამ გაზსადენის გაყიდვა გადაწყვიტა

## ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელი გოჩა ძასოხოვის ძმა აღმოჩნდა

გვ.3





გვ.3

## ბაღათურია ვიცე-სპიკერი ვერ გახდება

გვ.7

## ნაგვის გადასახადს ქდმ სტრასბურგში გაასაჩივრებს



გვ.4

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ონკოლოგიური საავადმყოფო გაყიდულია“



გვ.5

## სად იქნება სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ?



გვ.6

## პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილმა 2004 წელს პირობა დადო, რომ თბილისს დევნილებისგან გაათავისუფლებდა“

## სოფიო ხორგუანი: ხელისუფლება თანამემამულეებს ორ კატეგორიად ჰყოფს — „ჩვენ“ და „ისინი“



გვ.5

## ხელისუფლებას სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის უფლება არა აქვს

გვ.2

## 3090
### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**2** სასამართლომ საკრებულოს გადაწყვეტილება ბათილად არ ცნო

**3** დევნილთა აქციის მონაწილეებს სახალხო დამცველის მოადგილე შეხვდა

**4** თენგიზ სიგუა: სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი საქართველომ დაიწყო

**7** ნუგზარ წიქლაური: „ხელისუფლება მხოლოდ არჩევნებით შეიცვლება“

# გიორგი გუგავა: „დენი და გაზი გაძვირდება!“

*შორენა კოწოწაშვილი*

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ საქართველოს რკინიგზის და მაგისტრალური გაზსადენის ხელში ჩაგდება უნდათ მიხეილ სააკაშვილის ოჯახს და მის რუს ბიზნეს-პარტნიორებს, რომელნიც საქართველოს პრეზიდენტს ბიძის — თემურ ალასანიას დახმარებით უხვად ჰყავს.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელები ფიქრობენ, რომ ამჯერადაც ამ ბიზნეს-გადანაწილებაში, შესაძლოა ისევ შარანგიები იქნენ გამოყენებული და საქართველოს უმნიშვნელოვანესი ობიექტები კვლავ რუსების მართვა-გამგებლობის ქვეშ აღმოჩნდნენ.

სტრატეგიული და გეოსტრატეგიული კუთხით უმნიშვნელოვანესი ობიექტების შესაძლო პრივატიზების საკითხი ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განიხილა.

— ლეიბორისტული პარტიის მიერ წლების მანძილზე დაუღალავი ბრძოლის შედეგად შენარჩუნებული ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტები, როგორიცაა რკინიგზა, მაგისტრალური გზასადენი და ელექსტროსისტემა, საქართველოს დახლიდარი სააკაშვილის მიერ რუს ბიზნეს-პარტნიორებთან ერთად გამოტანილია დახლზე, რითაც ქვეყანა საბოლოოდ დაკარგავს გეოსტრატეგიულ ენერგეტიკულ ფუნქციას ხოლო მოსახლეობა მიიღებს უფრო გაძვირებულ ტარიფებს ელექტროენერგიაზე და გაზზე. სამაგიეროდ ჩვენს ხარჯზე მილიონებს იშოვიან სააკაშვილი და მისი რუსი ბიზნესპატრნიორები. მივმართავთ სააკაშვილისგან მოტყუებულ მის ამერიკელ პატრონებს — ახლა მაინც გამოფხიზლდით და დაუწესეთ ფინანსური სანქციები სააკაშვილის ხროვას, რათა არ იქნეს გადადგმული ეს დამღუპველი ნაბიჯი, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ.

## მთავრობამ გაზსადენის გაყიდვა გადაწყვიტა

**ლეიბორისტული პარტია საქართველოს რკინიგზის, მაგისტრალური გაზსადენის და ელექტროსისტემის დაგეგმილ პრივატიზაციას აპროტესტებს.**

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ქართული მხარის მიერ საუბარია 25%-ის გასხვისებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მფლობელის ხელთ იქნება ამ უმნიშვნელოვანესი ობიექტების მართვისა და გადაწყვეტილების მიღების უფლება. გუგავას თქმით, 25% ამ ეტაპზე გამოგვიცხადეს, რეალურად კი საუბარი მალე საკონტროლო პაკეტის გასხვისებაზეც დაიწყება.

— ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, როგორიც არის რკინიგზა, ელექტროსისტემა და მაგისტრალური გაზსადენი, ეს არის ხელშეუხებელი, უმნიშვნელოვანესი ქონება, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს გეოსტრატეგიულ ენერგეტიკულ ფუნქციას, კანონიდან, რომელიც ზღუდავდა ამ ობიექტების პრივატიზებას, ხვალ გამოგვიცხადებენ, რომ გაიყიდება მათი 50% პლიუს 1, — აღნიშნა გიორგი გუგავამ და კახა ბენდუქიძის სახელმწიფო მინისტრად მოსვლის პერიოდი გაიხსენა და ტენდენცია, რომელიც ბენდუქიძემ პროვატიზაციას დაუდო.

— გახსოვთ, თავის დროზე, 2005 წელს, როდესაც კახა ბენდუქიძემ და სააკაშვილმა საუბარი დაიწყეს მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვაზე, შალვა ნათელაშვილს მოხსენება ჰქონდა იმ დროს ნიქსონ ცენტრში სწორედ ამ საკითხებზე, რაზეც ატყდა ერთი ამბავი. მიხეილ სააკაშვილი ამის შემდეგ ამერიკელებს ევაჭრა და გაზსადენის რეაბილიტაციისთვის გამოყვეს 36 მილიონი. მაშინ დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებაც, რომ არ მოხდებოდა ამ ობიექტის პროვატიზება 2011 წლამდე, — განაცხადა გიორგი გუგავამ.



რაც შეეხება თანხას, რომელიც ამერიკულმა მხარემ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისთვის გამოყო, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ მილიონებმა ნაციონალების და ქვეყნის პირველი პირების ანგარიშებზე დაილექა.

— ეს თანხა, როგორც წესი, ნაციონალებმა მიითვისეს, შეახრამუნეს, შეყლაპეს, თავიანთ ანგარიშებზე გადარიცხეს. ხოლო გაზსადენის რეაბილიტაცია არ მომხდარა და ახლა მიდის გაჩაღებული ვაჭრობა ერთის მხრივ, სააკაშვილის რუს ბიზნესპარტნიორებთან, რომლის შუამავალიც არის სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. მათ უნდათ რკინიგზა ერთობლივად ჩაიგდონ ხელში რუსმა ბიზნეს პარტნიორებმა და სააკაშვილის ოჯახმა. შესაძლებელია როგორც დედაქალაქში, მოძრავი მიკროავტობუსების შემთხვევაში მოხდა, ხელში ჩაიგდოს შარანგიების კლანმა, ანუ იგივე სააკაშვილის ოჯახმა და ასევე მიდის ამერიკელებთან ვაჭრობა, რომ აი, ფული მოგვეცით და ამის პრივატიზებას არ მოვახდენთ, — აღნიშნა გუგავამ.

როგორც პრესკონფერენცაზე ითქვა, ნაციონალები მაქსიმალურად შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტად დაეფარათ რეალური მიზნები რკინიგზის პრივატიზაციის და დაიწყეს ფართო საზოგადოებისთვის გაუგებარი ტერმინებით მანიპულირება — კვოტირებას მოვახდენთ, გავიტანთ ნიუიორკის ბირჟაზე და ა. შ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას დაწყებული აქვს მოლაპარაკება და გადაწყვეტილიც არის ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტების გასხვისება რუს ბიზნეს პარტნიორებზე. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ეს აუცილებლად გამოიწვევს, უპირველეს ყოვლისა, ტარიფების გაზრდას ელექტროენერგიაზე, — აღნიშნა გიორგი გუგავამ. მისი თქმით, ელექტროსისტემა არის მთლიანად შემკრები და სწორედ მისი მეშვეობით ხდება განაწილება არა მარტო მთელ საქართველოზე ენერგიისა, არამედ გადაცემა სომხეთზე, თურქეთზე, რუსეთიდან ელეტროენერგიის მიღებაც. ანუ მთლიანად მართვის პულტს წარმოადგენს ელექტროსისტემა და მისი პრივატიზაციის შემთხვევაში ინვესტორმა ტარიფის გაზრდა რომ მოითხვოს, რა თქმა უნდა, დაუკმაყოფილებენ.

— ასევე გაიზრდება ტარიფი გაზზეც. ეს მაგისტრალური გაზსადენი ამარაგებს არა მხოლოდ სომხეთს რუსეთიდან წამოსული გაზით, არამედ ამით მარაგდება საქართველოც. საქართველოში აზერბაიჯანიდან სწორედ ამ მაგისტრალური გაზსადენიდან მოდის გაზი. ამ ტრანსპორტირებაში ჩვენ გაზს არ ვიღებთ, როგორც ჩანს, მათ „სტავკა“ დაწესებული აქვთ და იმ გაზის საფასურს, რასაც ქვეყანა უნდა იღებდეს, ეს თანხა ქრთამის სახით მიდის სწორედ სააკაშვილის ანგარიშებზე. ამიტომ თუ ეს გადაწყვეტილება იქნა მიღებული და მოხდა მისი პრივატიზაცია, ჩათვალეთ, რომ საბოლოოდ დაკარგავს ჩვენი ქვეყანა მის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ენერგეტიკულ ფუნქციას. ანუ საერთოდ ინტერესს დაკარგავენ ჩვენი ქვეყნის მიმართ და საბოლოო კოლონიზაცია მოხდება საქართველოსი. აი, ამ შედეგებს მივიღებთ, გარდა იმ უმწვავესი სოციალური აფეთქებისა, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, — განაცხადა პრესკონფერენციის ბოლოს გიორგი გუგავამ და იმედი გამოთქვა, რომ საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების სათანადო პროტესტის ფონზე ხელისუფლება ხელს აიღებს დანაშაულებრივ განზრახვაზე.

ალსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული ობიექტების პრივატიზაციას ეკონომისტები, ექსპერტებიც ეწინააღმდგებიან. მით უმეტეს, დაუშვებლად მიაჩნიათ ამ ობიექტების რუსეთის ხელში გადაცემა. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ ეს მოხდება და ამ და სხვა საშუალებებით სააკაშვილი ძალაუფლების გახანგრძლივებას შეეხება.

# ხელისუფლებას სტრატეგიული ობიექტების გაყიდვის უფლება არა აქვს

*ქეთი ხომერიკი*

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, ხელისუფლება მაგისტრალური გაზსადენისა და შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაყიდვას გეგმავს.**

— როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს მთავრობა აპირებს საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე გაყიდოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მსხვილი კომპანიების აქციების პაკეტი. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, საუბარია მაგისტრალურ გაზსადენზე და შპს „საქართველოს რკინიგზაზე, — აცხადებს კუკავა.

მისივე განცხადებით, „თავისუფალი საქართველო“ წინააღმდეგია სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიების პრივატიზების.

— ჩვენ წინააღმდეგი ვართ სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიების პრივატიზებისა, რადგან ეს კომპანიები წარმოადგენენ ეროვნულ სიმდიდრეს და იმავდროულად, ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ნაწილს, — განაცხადა კუკავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის თქმით, ალსანიშნავია, რომ დასავლელმა პარტნიორებმა არაერთხელ მისცეს რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას, რომ თავი შეიკავოს მსგავსი გადაწყვეტილებისგან, თუმცა, კახა ბენდუქიძისა და სხვა კორუფციული ჯგუფების რეკომენდაციები, როგორც ჩანს, უფრო გავლენიანი და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მათი.

— რაც შეეხება განმარტებას, რომ იყიდება აქციების მინიმუმ 25%, ეს საქართველოს მთავრობის ჩვეული ტექნოლოგიაა, რომ მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ზომბირება, ხოლო შემდეგ დამატებით გადაწყვეტილების მიღება,



რომ ბარემ 50% გავყიდოთ და ა.შ. და ა.შ., — განმარტავს კუკავა.

მისივე განცხადებით, საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი სააკაშვილის კორუმპირებული მთავრობის მიერ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პრაქტიკა, იგივე მიკროავტობუსების და სატელეკომუნიკაციო ანძის პრაქტიკიდან გამომდინარე. „აქედან გამომდინარე შეგვიძლია უკვე წინასწარ ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო კომპანიების აქციების პაკეტი გაიყიდება საზოგადოებისგან მალულად, ეს ერთი, ხოლო მყიდველი აღმოჩნდება სააკაშვილის ოჯახთან დაახლოებული რომელიმე მოსკოველი ბიზნესმენი ან ბიზნესჯგუფი, ეს მეორე“, — აღნიშნა, თავისუფალი საქართველოს ლიდერმა. კახა კუკავა არ გამორიცხავს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზის“ მყიდველი ყველასთვის ცნობილი ბიზნესმენი შარანგია აღმოჩნდეს.

კუკავას განცხადებით, პარტია მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ სერიოზული ყურადღება მიაქციონ საქართველოს კორუმპირებული რეჟიმის მიერ ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს.

სხვათა შორის, თავისუფალი საქართველო ბოლო პერიოდი აქტიურად ადევნებდა თვალყურს შპს „საქართველოს რკინიგზის“ გარშემო დატრიალებულ მოვლენებს და განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ კორუფცია ყვავის. თავისუფალი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი „ახალ თაობასთან“ საუბრისას ჯერ კიდევ სამი თვის წინ იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გაყიდვას გეგმავდა.

## სასამართლომ საკრებულოს გადაწყვეტილება ბათილად არ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის ნონა ჩალათაშვილის სარჩელი მოპასუხე თბილისის საკრებულოს მიმართ. მოსარჩელე დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის, მისი გადახდის წესის დადგენის შესახებ ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 24 ივნისის №7-38 გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვდა.

დავის განხილვის პროცესში სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე ნონა ჩალათაშვილის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:დედაქალაქის დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების სფეროში — საკრებულოს, ტარიფის დადგენის უფლებამოსილებას ანიჭებს „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 441-ე მუხლი და საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 8 თებერვლის №104 ბრძანებულება.

ასევე სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ქ. თბილისის საკრებულომ სადავო აქტით დაადგინა ტარიფი და არა მოსაკრებელი. ამდენად, საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ არ ეწინააღმდეგება სადავო გადაწყვეტილებით დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის წესს და ფორმას.

სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეს-სამსახური**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 94-39-34
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**

# ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელი გოჩა ძასოხოვის ძმა აღმოჩნდა

თეა მარხვაი ე

**რამდენიმე დღის წინ რუსმა სამართალდამცავებმა ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობა გახსნილად გამოაცხადეს. აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გასულ წელს მოსკოვში, შევჩენკოს ტრასაზე მოკლეს. რუსული პრესა მაშინ წერდა, რომ გარდაცვლილი მკვლელს იცნობდა. მაშინვე თქვეს, რომ მკვლელები კავკასიური წარმოშობის იყვნენ.**

მკვლელობიდან დაახლოებით ერთი წლის თავზე ეს საქმე გახსნილად გამოცხადდა. ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობისთვის ბრალი 37 წლის ედიშერ ძასოხოვს წაუყენეს. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ედიშერი ცნობილი ქართველი ბიზნესმენის გოჩა ძასოხოვის უმცროსი ძმაა.

რუსული მედიის ცნობით, ეს მკვლელობა სამართალდამცავებს უკვე გასული წლის ნოემბერში ჰქონდათ გახსნილი. ნოემბერშივე წაუყენეს ედიშერ ძასოხოვს ბრალი და, რადგან მკვლელი მიმალვაში იყო, მილიციამ ეს საქმე არ გაახმაურა.

ყოფილი ჩინოსნის მკვლელობას რუსეთში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ამის შესახებ ყველა გავლენიანი რუსული გამოცემა წერდა. ეს გასაკვირი არც იყო. ელგუჯა ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის ძმა იყო, რომელიც რამდენრმე წლის წინ რუსეთში მოკლეს.

ის საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა. რუსული მედიით ცნობით, ის ნაციონალების ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელი იყო. ნაციონალების დაფინანსების გარდა, მას ბევრი კარგი საქმე ჰქონდა საქართველოში გაკეთებული. მან დიდი წვლილი შეიტანა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაშიც.

რაც შეეხება მის ძმას, ელგუჯა ჯინჭარაძეს ყველა რემბოს სახელით იცნობდა. მას წლების განმავლობაში აჭარის შს მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. როგორც ამბობენ, მას ასლან აბაშიძე პატივს სცემდა.

ამის მიუხედავად, მათი გზები გაიყო. ეს ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა. აბაშიძემ ვარდოსნების აღიარებაზე უარი თქვა. ჯინჭარაძემ აჭარის ლომი მიატოვა და სააკაშვილის მხარეს გადმოვიდა. ეს ამბავი მაშინ დიდად დაპიარდა. თუმცა, ეს თავდადება მას სააკაშვილმა არ დაუფასა. საკმაოდ მალე მან საქართველო დატოვა. როგორც ყველა ქართველმა ექს-ჩინოსანმა, მანაც რუსეთში არჩია ცხოვრება, სადაც ის გასული წლის 10 სექტემბერს მოკლეს.

მკვლელობა სასტუმრო „უკრაინასთან“ მოხდა. როგორც „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერდა, მკვლელობა რამდენიმე ადამიანის თვალწინ მოხდა. მათი თქმით, ჯინჭარაძესთან ორი კავკასიური წარმოშობის მამაკაცი მივიდა. მათ შორის გაცხოველებული საუბარი წარიმართა. საუბარი საქმის გარჩევასა და შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის დროს ერთ-ერთმა კავკასიელმა იარაღი ამოიღო და ჯინჭარაძეს ორჯერ ესროლა.

ის ფილტვებში მიყენებული ჭრილობებით ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავეებმა კი შემთხვევის ადგილიდან მიმალვა შეძლეს. ისინი მკვლელობის ადგილიდან ტაქსით გაიქცნენ. ამ ტაქსიმ შემთხვევის ადგილზე მკვლელობის მომენტში ჩაიარა. მძღოლმა ყველაფერი თავისი თვალით დაინახა.

თავდამსხმელებმა მძღოლი აიძულეს, ისინი ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრთან მიეყვანა, რომელიც რუბლიოვსკის გზატკეცილზე მდებარეობს.

რუსული მედიის ცნობით, სამართალდამცავებმა მკვლელობიდან რამდენიმე დღეში დაადგინეს დამნაშავის ვინაობა. ნოემბერში, როგორც უკვე ვთქვით, მას სასამართლომ დაუსწრებლად წაუყენა ბრალი.

ის სამართალდამცავებმა მიმდინარე წლის 5 აგვისტოს კრასნოდარის მხარის ქალაქ ტერემიუკში დააკავეს. რამდენიმე დღის შემდეგ ის მოსკოვში ჩაიყვანეს.

ედიშერ ძასოხოვის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. იციან, რომ ის ცნობილი ბიზნესმენის გოჩა ძასოხოვის ძმაა, რომელიც ამჟამად რუსეთში ცხოვრობს. ის რუსეთის საზოგადოებრივ პალატას უდგას სათავეში და რუსეთის ხელისუფლებასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს.



სამართალდამცავები მკვლელობის ზუსტ მოტივებზე ჯერ არ საუბრობენ. მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მათ ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ. როგორც ამბობენ, ისინი ერთმანეთს იცნობდნენ.

გამომძიებლები აცხადებენ, რომ ძასოხოვს ჯინჭარაძის მკვლელობა წინასწარ განზრახული არ ჰქონდა. მათი თქმით, მკვლელობა საქმის გარჩევას მოჰყვა.

მილიცია არაფერს ამბობს, თუმცა, ვერსიები მაინც ვრცელდება. „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ სამ ვერსიაზე საუბრობს.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა შეიძლება ბიზნესინტერესებს უკავშირდებოდეს. გარდაცვლილის ძმას რუსეთში სერიოზული ბიზნესი ჰქონდა. სერიოზულ ბიზნესს ფლობს რუსეთში დამნაშავის ძმაც.

მეორე ვერსიით, მათ შორის შელაპარაკება აგვისტოს ომის გამო მოხდა. თუმცა, ეს ყველაზე ნაკლებად სარწმუნო ვერსიაა.

არ გამორიცხავენ, რომ მკვლელობა პოლიტიკაზე დაწყებულ კამათს მოჰყოლოდა. ჯინჭარაძე სააკაშვილის მომხრედ ითვლებოდა, ძასოხოვი კი — მოწინააღმდეგედ.

მართალია, „რემბო“ თავის დროზე სააკაშვილის მხარეს გადავიდა, მაგრამ საქართველოდან მაინც მოუწია წასვლა. როგორც რუსული პრესა წერს, მას ნაციონალური ხელისუფლება დიდად არ სწყალობდა.

რაც შეეხება ძასოხოვს, მას თავის ძმასთან ერთად მოუწია საქართველოს დატოვება. ჯინჭარაძეების არ იყოს, წლების განმავლობაში სააკაშვილთან ძასოხოვებსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ერთ-ერთი საწარმოს გახსნაზე პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვი ჩვენი დროის გმირად მოიხსენია.

ამ ამბიდან ძალიან მალე ბიზნესმენს საქართველოში პრობლემები შეექმნა. 2008 წელს ის საქართველოდან გაიქცა, უფრო სწორად, საქართველოში ვეღარ დაბრუნდა. ძასოხოვი იმ დროს ქართულ დელეგაციასთან ერთად პეკინის ოლიმპიადაზე იყო.

სწორედ ოლიმპიადის გახსნის დღეს დაიწყო ცხინვალში ომი. ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში რუსებმა ქალაქი გორი უპრობლემოდ აიღეს. თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა განაცხადა, რომ გორში ძასოხოვი და მისი ბანდა შევიდნენ. არადა, იმავე დღეს ყველამ ვნახეთ ტელევიზიით, როგორ აჯილდოებდა ეს უკანასკნელი ოლიმპიადის გამარჯვებულებს. ბიზნესმენი ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ორგანიზაციაა) სენატორთა კლუბის წევრიც გახლავთ.

პეკინის ოლიმპიადიდან ის საქართველოში აღარ დაბრუნებულა. როგორც მოგვიანებით თავად თქვა, დასაბრუნებელი არსად ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ხელისუფლებამ მთელი ბიზნესი წაართვა, საცხოვრებელი სახლიც დაულუქა. საინტერესოა, რომ ამისთვის გაგანია ომის პერიოდში მოიცალა.

ხელისუფლებასთან დაპირისპირების მიზეზები მოგვიანებით განმარტა ძასოხოვმა. ყვავილოვანი მთავრობა იმიტომ გადაეკიდა, რომ მან უარი თქვა სანაკოევის ადგილის დაკავებაზე. ამ პოსტის დაკავება მას სანაკოევის აღმოჩენამდე შესთავაზეს. ძასოხოვმა ამ სულულურ პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და, როგორც თავად თქვა, ამის შემდეგ შეექმნა პრობლემები, რაც საქართველოდან მისი წასვლით დასრულდა. მასთან ერთად წავიდა რუსეთში ედიშერიც, რომელსაც ახლა ელგუჯა ჯინჭარაძის მკვლელობისთვის ასამართლებენ.

და კიდევ ერთი ამბავი, რომელსაც შეიძლება ამ მკვლელობასთან საერთო არა აქვს, მაგრამ გასათვალისწინებელია. ძასოხოვმა ფული წლების წინ რუსეთში იშოვა. ის იქ მოღვაწეობდა თავის ძმებთან ერთად. ბიზნესწილების გადანაწილების დროს სერიოზული ინციდენტი მოხდა, რომლის დროსაც ძასოხოვის ძმა მოკლეს. ძალიან მალე კიდევ ორი ადამიანი მოკლეს. როგორც ამბობენ, მოკლულებს ძასოხოვის მკვლელობასთან ჰქონდა კავშირი. თქვეს, რომ ეს ძასოხოვების შურისძიება იყო. ამის შემდეგ მათ რუსეთი დატოვეს და საქართველოში დაბრუნდნენ, თუმცა, წლების შემდეგ ისევ რუსეთში მოუწიათ გაქცევა.

# ბაღათურია ვიცე-სპიკერი ვერ გახდება

ნანა მიშელაშვილი

**ახალ ფრაქციას — კი, ჯონდი ბაღათურიას — არა. ასეთი იყო გუშინ საპროცედურო კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება.**

კომიტეტში გუშინ ახალი საპარლამენტო ფრაქციის არც ერთი წევრი არ იმყოფებოდა. არადა, კომიტეტი ახლად შექმნილი ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხზე მსჯელობდა. ოპოზიციური ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ წევრებმა საპროცედურო კომიტეტის სხდომის შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყვეს, თუმცა, ეს მოგვიანებით მოხდა. საერთოდ კი კომიტეტი ვალდებული არ იყო, სხდომაზე ახლად შექმნილი ფრაქციის წევრები დაეპატიჟა. ამდენად, სხდომა მათ გარეშე წარიმართა.



ახალი ფრაქცია, რომლის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილია, ოფიციალურად პარლამენტის უახლოეს ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდება. ფრაქციას ყველაფერი წესრიგში აქვს, ვიცე-სპიკერთან დაკავშირებულ საკითხზე კი ოპოზიციას ბრძოლა მოუწევს.

ოპოზიციური ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის“ შექმნის შესახებ ცნობილი 18 ივლისს გახდა. ფრაქციის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ოპოზიციონერი დეპუტატები: ჯონდი ბაღათურია, პეტრე მამრაძე, კარლო კოპალიანი, თამაზ დიასამიძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე არიან.

რაც შეეხება ჯონდი ბაღათურიას, მას ვიცესპიკერობაზე უარი ოფიციალურად უთხრეს. ასეთი იქნება უმრავლესობის „ვერდიქტიც“.

ამდენად, „ქართული დასის“ ლიდერი სპიკერატში ადგილს ვერ დაიკავებს. ერთადერთი შანსი, რომ ბაღათურია გავიცესპიკერდეს, ის არის, რომ ვიცე-სპიკერის პოსტიდან პაატა დავითაია გადადგეს ან გადააყენონ. დავითაია კი გადადგომას არ აპირებს. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილმა ყურადღება რეგლამენტის იმ მუხლზე გაამახვილა, რომლის თანახმად, პარლამენტის ვიცე-სპიკერის არაუმეტეს სამი კანდიდატურის დასახელების უფლება არჩევნებში ბარიერგადალახულ იმ საარჩევნო სუბიექტებს გააჩნიათ, რომლებიც უმრავლესობაში გაერთიანებულნი არ არიან და საპარლამენტო ფრაქცია აქვთ შექმნილი.

გოგორიშვილის თქმით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა სამმა საარჩევნო სუბიექტმა — „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“, გაერთიანებულმა ოპოზიციამ და ლეიბორისტულმა პარტიამ გადალახა. პარლამენტის ვიცე-სპიკერის თანამდებობას „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ — ლევან ვეფხვაძე, ხოლო გაერთიანებული ოპოზიციიდან პაატა დავითაია იკავებენ. რაც შეეხება მესამე კვოტას, როგორც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, სპიკერატში დარჩენილი კვოტის გამოყენების უფლება ლეიბორისტებს გააჩნიათ, თუმცა ისინი ამ უფლებას არ იყენებენ.

კომიტეტის სხდომაზე ითქვა, რომ იმ შემთხვევაში, თუკი გაერთიანებული ოპოზიციის სიით პარლამენტში მყოფი დეპუტატები ვიცე-სპიკერის თანამდებობიდან პაატა დავითაიას გადააყენებენ, მაშინ ახალი ფრაქციის მხარდაჭერით ბაღათურია შეიძლება ვიცე-სპიკერი გახდეს.

გაერთიანებული ოპოზიციის სიით პარლამენტში შესული დეპუტატები არიან: გიორგი ცაგარეიშვილი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ჯონდი ბაღათურია, გია თორთლაძე და პაატა დავითაია. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ვიცე-სპიკერის კანდიდატურის წარდგენისას უპირატესობა საარჩევნო ბლოკის სიაში წინ მყოფ პარტიის წარმომადგენელს ენიჭება. ამ შემთხვევაში კი ასეთი პარტია „ჩვენ თვითონ“ არის.

კიდევ ერთი — ახალ ფრაქციას იმდენად სურდა ვიცე-სპიკერის პოსტის დაკავება, რომ ბაქრაძის სახელზე ერთდროულად სამი განცხადება შევიდა. კერძოდ, ჯონდი ბაღათურიას წარდგენის მიზნით პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე სამი განაცხადი შევიდა — პარტია „ქართული დასის“, ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილისა და თავად დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას მხრიდან.

— მინდა, მათ ვუთხრა, რომ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია არა განაცხადების რაოდენობაზე, არამედ საკანონმდებლო ნორმებზე, — აღნიშნა ხათუნა გოგორიშვილმა.

# დევნილთა აქციის მონაწილეებს სახალხო დამცველის მოადგილე შეხვდა

სახალხო დამცველის მოადგილე ტატა ხუნწარია გუშინ სახალხო დამცველის ოფისთან გამართული აქციის მონაწილეებს შეხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შეხვედრის მონაწილემ, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ დევნილთა ომბუდსმენმა მაია ხარაძემ განუცხადა, მათ ხუნწარიას გარდა, მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოფო ბენაშვილი და დევნილთა საკითხებზე მომუშავე კოორდინატორი სალომე ქუსიკაშვილი შეხვდათ.

მისი განცხადებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ესაუბრნენ დევნილთა იძულებით და სასტიკი მეთოდებით გამოსახლებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ასეთ ვითარებაში სახალხო დამცველი შესაბამის უწყებებს რეკომენდაციით მიმართავს, ახდენს შეფასება და ყველაფერი ეს აისახება წლიურ ანგარიშში.

ხარაძის განცხადებით, გიორგი ტუღუშის წარმომადგენლებს სთხოვა, რომ დაასწრონ 15 აგვისტოს დაგეგმილ დევნილთა გამოსახლების პროცესს და დააფუქსირონ ის მრავალი დარღვევა, რასაც აქვს ადგილი ყოველი გამოსახლების დროს.

გუშინ სახალხო დამცველის ოფისთან ჩატარდა სოლიდარობის აქცია „მეც დევნილი ვარ“. აქციას ორგანიზებას უწევდნენ: „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა“, დევნილთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიაზაციები და დევნილთა საინიციატო ჯგუფი.

აქციის მონაწილეები ითხოვდნენ სახალხო დამცველის პოზიციის დაფიქსირებას დევნილების გამოსახლებასთან დაკავშირებით.

„წინააღმდეგობის მოძრაობის“ წარმომადგენლებმა დავით ლილუაშვილმა და მაია ხარაძემ მოითხოვეს ტუღუშთან შეხვედრა, თუმცა როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ნინო ერემაშვილმა მათ განუცხადა გიორგი ტუღუში არ იმყოფებოდა თბილისში.

ამის შემდეგ დევნილთა წარმომადგენლები გიორგი ტუღუშის მოადგილეს შეხვდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ონკოლოგიური საავადმყოფო გაყიდულია“

ნათია ხურცილავა

**„ახალი თაობა“ „კონსერვატიული პარტიის“ წევრ ლაშა ჩხარტიშვილს ესაუბრა**

***— ექიმების აქცია ისევ გრძელდება. რა მდგომარეობაშია ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე მოვლენები? ამბობენ, რომ მხოლოდ რამდენიმე საავადმყოფო უნდა დარჩეს დედაქალაქში. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?***

— ჯანდაცვის სფეროში უმძიმესი სიტუაციაა საქართველოში შექმნილი. როგორც ჩანს, სააკაშვილსა და მის რეჟიმს გადაწყვეტილი აქვს, ჯანდაცვა დაიყვანოს აფრიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის დონეზე, სადაც პირველადი დახმარების აღმოჩენის ხარჯზეა დასული სამედიცინო მომსახურება. პრაქტიკულად, ხელმიუწვდომელია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურება არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, არამედ გამართული სისტემის არარსებობის გამო. ჩვენთანაც აქეთკენ მიდის ყველაფერი. პრაქტიკულად, საავადმყოფოები, კლინიკები, მთლიანად სამედიცინო სკოლა დაუნდობლად ნადგურდება. მრავალპროფილური თუ სპეციალიზებული საავადმყოფოების ადგილზე ჩნდება 15-საწოლიანი მედპუნქტები, რაც არასაკმარისია. საუბარია რეგიონებზე. მაგალითად, ხობის რეგიონის საავადმყოფოს პომპეზურად გახსნა 15 ადგილზე იყო გათვლილი. მისი გახსნა სასაცილო იყო, რადგან ნადგურდება საავადმყოფოები, სადაც 100-ზე მეტი საწოლი იყო, სადაც იყო კვალიფიციური მომსახურება, რეანიმაციული განყოფილება, სპეციალიზებული ლაბორატორიები, სხვადასხვა სპეციალიზაციის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მათ ადგილზე კი იქნება სამედიცინო პუნქტები, საველე სამედიცინო პუნქტის დაწესებულებები.

***— ფაქტებით რომ ვისაუბროთ?..***

— ფაქტი ძალიან ბევრია, მაგალითად, უკვე ყოფილი მე-8 საავადმყოფო, საიდანაც 600-მდე ექიმს უპირებენ სამსახურიდან გაშვებას. ეს რომ შენიღბონ, ამ მიზნით ხორციელდება რეორგანიზაცია. კონკრეტულად ეს კლინიკა სამედიცინო უნივერსიტეტს გადაეცა. თითქოსდა რეაბილიტაციის მიზნით იწყებენ სარემონტო სამუშაოებს. სინამდვილეში კი რემონტზე გასვლა და მისი დახურვა ერთმანეთთან არის კავშირში. რეაბილიტაცია რომ იყოს მიზეზი, შესაძლებელი იყო კლინიკაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება ნაწილ-ნაწილ. რეალურად კი უნდათ, რომ ექიმების ნაკლები პროტესტის ფონზე ფარულად გაუშვან სამსახურიდან, რასაც ძალიან ღირსეულად აპროტესტებენ ადამიანები. ექიმების ძალიან დიდმა ჯგუფმა, დაახლოებით 150-მდე ექიმმა, საპროტესტო აქცია გამართა. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ აქციები, რომლებსაც ექიმები აწყობენ, მათ მიერვეა ორგანიზებული. ეს დასაფასებელია, რადგან შეიძლება, კარგი მაგალითი იყოს სხვა პროფესიის ადამიანებისთვისაც.

***— პრივატიზაციის პროცესი ისევ გრძელდება თუ განახლდა?***

— 52 პოლიკლინიკა გადის გასაყიდად ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე ჩვენი ინფორმაციით. ათზე მეტ საავადმყოფოში მიმდინარეობს ანალოგიური პროცესი. ეს საავადმყოფოები გაიყიდა და იქიდანაც გაუშვეს ექიმები. საბაბი შენობის რეაბილიტაცია-გარემონტება იყო. არსებობს ინფორმაცია, რომ სარემონტო სამუშაოები ე.წ. არამიანცის საავადმყოფოშიც იგეგმება.

***— რემონტი საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს?***

— გამოდის, ასეა. თუმცა, ოფთალმოლოგიურ კლინიკაში ყოველგვარი რემონტის გარეშე გაუშვეს ნახევარი პერსონალი, თუნდაც დამწვრობის ცენტრის სხვა შენობაში გადაყვანის ისტორია შეგვიძლია გავიხსენოთ. ასევე გაყიდულია ონკოლოგიური კლინიკა.



***— რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

— მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ონკოლოგიური კლინიკა გაყიდულია. თითქმის არ რჩება სამედიცინო სკოლა საქართველოში, წარსულისა და ტრადიციების მქონე. არადა, ნამდვილად აქვს ტრადიციები ქართულ სამედიცინო სკოლას. ეს ყველაფერი ინგრევა. საბოლოო ჯამში კი ჩვეულებრივი, ჩევნნაირი მოკვდავებისთვის დარჩება მხოლოდ სამედიცინო პუნქტები, სადაც იოდს თუ წაუსვამენ ადამიანს, ხოლო სერიოზული სამედიცინო მომსახურების მიღება ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ერთეულ კლინიკებში, რომლებიც მხოლოდ ავლაბრის „ცეკასთვის“ იქნება განკუთვნილი, ისე, როგორც კრემლის კლინიკა არსებობდა, რომელსაც განსაკუთრებული სტატუსი ჰქონდა. იმ დროს შექმნილ სამედიცინო კლინიკებს, სკოლას დღეს ანადგურებენ. დღეს საქართველოში უნდა იყოს ალბათ მხოლოდ ავლაბრის კლინიკა სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის, დანარჩენი ადამიანებისთვის კი უნდა იყოს ისეთი სამედიცინო პუნქტები, სადაც კვალიფიციურ ექიმებსაც კი არ ექნებათ საშუალება, დახმარება გაუწიონ ადამიანებს, რადგან ისინი, ელემენტარულად, აღჭურვილნი არ იქნებიან. სხვათა შორის, კვალიფიციურ ექიმებს ებრძვიან მიზანმიმართულად, რისი მაგალითებიც იყო. გაკეთდა სიუჟეტი, რომელსაც ერქვა „ექიმების საქმე“. ყველას კარგად ახსოვს საბჭოთა პერიოდის „ექიმების საქმე“, როდესაც სტალინი მავნებლებს ეძებდა. სინამდვილეში ექიმების ავტორიტეტის დაცემა უნდოდათ ხალხის თვალში. იმავეს აკეთებს დღეს სააკაშვილი. მას სამედიცინო სფეროს განადგურება აქვს მიზნად დასახული.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ადამიანების ჯანმრთელობა არ ადარდებს. მისთვის მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნა, თუნდაც ამ კლინიკების გაყიდვის ხარჯზე. თითო-ოროლა კლინიკის დატოვება, მით უმეტეს მაღალკვალიფიციური ექიმების გაშვება, მაღალი სტანდარტის კლინიკებიდან მედპუნქტებამდე დაყვანა ხელისუფლებას აწყობს რამდენიმე მიზეზის გამო: ერთი: კორუფცია, შენობა-ნაგებობების, ადგილების ხელში ჩაგდება. ასევე ეს არის სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოსახლეობისთვის უარის თქმა სოციალური დაცვის გარანტიებზე, ჯანდაცვის გარანტიებზე, რაც, რასაკვირველია, დანაშაულია. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილია სახელმწიფოს არსებობის მთავარი პრინციპები. სახელმწიფო, უპირველესად ყოვლისა, უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება და მათი კეთილდღეობა. სხვა ფუნქცია სახელმწიფოს არ გააჩნია. მაშინ გაუგებარი რჩება, რა საჭიროა სახელმწიფო და ხელისუფლება. სააკაშვილს ურჩევნია, ბიუჯეტიდან ფული ხარჯოს მხოლოდდამხოლოდ საკუთარი ანგარიშების ფულით შევსებასა და პოლიციური რეჟიმის გაძლიერებაზე, პოლიციის რაოდენობის ზრდაზე და არა სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობაზე. როგორც ჩანს, სააკაშვილი საქართველოს მოსახლეობას მის პოტენციურ მოწინააღმდეგეებად განიხილავს.

***— როგორ?***

— რადგან მას უნდა, რომ მხოლოდ მორჩილები ჰყავდეს. საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მონა და მორჩილი არ არის. შესაბამისად, ჩვენ სააკაშვილი მტრებად განგვიხილავს. მას ძალიან ხშირად მოჰყავს სინგაპურის მაგალითი. სინგაპურში ადგილობრივი მოსახლეობა უმცირესობაშია. ამით პირდაპირ გვეუბნება სააკაშვილი, რომ საქართველოს მოქალაქეებს, ძირძველ მცხოვრებლებს ურჩევნია ახლად შემოყვანი მოქალაქეები. ეს არის ფსიქოლოგიური ფაქტორი. ჩვენ მეტი პრეტენზია გვაქვს, რადგან ეს არის ჩვენი სამშობლო, აქ დავიბადეთ და, შესაბამისად, მეტს ვითხოვთ ხელისუფლებისგან. თუმცა, ვითხოვთ იმას, რაც გვეკუთვნის. სხვა დასკვნის გაკეთება შეუძლებელია ჯანდაცვის, განათლების, უსაფრთხოების სისტემის ასეთი ტოტალური ნგრევის ფონზე.

***— ექიმების აქცია გაგრძელდება?***

— აქციები გაგრძელდება, რომ ეს პროცესი როგორმე შეჩერდეს. მე ექიმებს მოვუწოდებ, ხელი არ ჩაიქნიონ. მე-8 საავადმყოფოს მედპერსონალის მაგალითი უნდა გაიზიარონ სხვა ექიმებმაც, რომლებიც მართლაც ხმალამოღებული იბრძვიან არა მხოლოდ მათი, არამედ პაციენტის ინტერესებისთვისაც. სააკაშვილს სჭირდება რამდენიმე ელიტური კლინიკა, რომელიც, როგორც ჩანს, იქნება განკუთვნილი პირადად მისი და მისი დაჯგუფებისთვის, დანარჩენი მოსახლეობა კი — ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გარეშე, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ფიზიკურად არარსებობის გამო.

# ხინკალიც სომხური ყოფილა

თეა მარხვაი ე

ჩვენი მეზობელი სომხები აშკარად გვეკაიფებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია მათი მოქმედებების ახსნა. უკვე შეგუებული ვართ, რომ ყველაფერ ქართულზე პრეტენზიას აცხადებენ.

აღარც კი ვაპროტესტებთ იმას, რომ მათ ასეულობით ქართული ეკლესია სომხურად აქვთ გამოცხადებული. აღარაფერს ვამბობთ იმაზეც, რომ შოთა რუსთაველი დიდ სომეხად გამოაცხადეს. ჩვენი ხელისუფლების წევრების გასომხებაზე კი პროტესტს არც კი გამოთქვამს ვინმე.

ერთი შეხედვით ამ ყველაფერზე კომენტარების კეთება უაზრობაა. როცა რამეს გააპროტესტებ, გეუბნებიან, რომ სომხური საზოგადოებაც კი ამას სერიოზულად არ აღიქვამს.

მართლა ძნელია სერიოზულად აღიქვა, სიონის სომხური წარმომავლობის შესახებ გავრცელებული ცნობა. არადა ამაზე სომხები კი არა იტალიელები წერენ. ამის შესახებ ერთმა იტალიელმა მოგზაურმა დაწერა, რომელმაც თბილისში იმოგზაურა.

ამას კიდევ არა უშავს. არა უშავს იმიტომ, რომ ამაზე სომხებიც არაფერს ამბობენ. სამაგიეროდ ქართული დამწერლობის სომხური წარმომავლობის შესახებ საუბრობენ ბევრს. ეს თემა საკმაოდ ძველია. და ჩვენებურები ამ საკითხს აღარც კი აპროტესტებდნენ.

შეიძლება ამ თემაზე არც ახლა ამოეღოთ ხმა, რომ არა ინტერნეტენციკლოპედია, სადაც ქართულ ანბანზე წერია, რომ ის მესროპ მაშტოცმა შექმნა. ასე რომ, ახლა უცხოელები საქართველოზე ინტერნეტში ინფორმაციას რომ მოიძიებენ, აღმოაჩენენ, რომ დამწერლობა მესროპ მაშტოცმა შეგვიქმნა.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებენ ჩვენი მეზობლები ამას.

ამის დასამტკიცებლად „რკინის“ არგუმენტი აქვთ. დასტურად V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, კორიუნის თხზულება „მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა“.




— არსებობს სომხური ისტორიული წყაროების გადმოცემაც ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ, რომელიც სომხურ და ალბანურ ანბანებთან ერთად, ქართულის შექმნასაც სომეხ სწავლულს, მესროპ მაშტოცს მიაწერს. ეს ცნობა დაცულია V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, კორიუნის თხზულებაში „მაშტოცის ცხოვრება და მოღვაწეობა, — აცხადებენ სომეხი მეცნიერები.

არადა, როგორც ქართველი მეცნიერები განმარტავენ, V საუკუნის ხელნაწერში ეს ცნობა არ არის. იგი ამ თხზულების რამდენიმე საუკუნის შემდეგ გადაწერილ ხელნაწერში არშიაზეა მიწერილი, ხოლო შემდგომი პერიოდის ხელნაწერებში უკვე ტექსტშია მოთავსებული.

იმავე პერიოდის, V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ლაზარი პარფელი მაშტოცს მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად მიიჩნევს.

საინტერესოა ისიც, რომ კორიუნი წერს „მესპორ მაშტოცმა ქართული ენა არ იცოდა“.

ამაზე სომხურ მხარესთან კამათს, როგორც ჩანს, უკვე აზრი არა აქვს. ისინი მაინც თავისას ამტკიცებენ.

თანაც ამ თემაზე საუბრისთვის დრო შეიძლება აღარ გვქონდეს. ჩვენი მეზობლები ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობენ.

ამ დღეებში სოციალურ ქსელებში გამოჩნდა საინტერესო სურათი, რომელიც ქობულეთშია გადაღებულია. ქობულეთში სომეხი დამსვენებლები ბლომად არიან. მათ ბუნებრივია ძალიან უყვართ თავიანთი სამზარეული. ჰოდა, ცდილობენ, იქ ბევრი ადგილი იყოს, სადაც სომხური პურ-მარილი გაიშლება.

ერთ-ერთი ასეთი საპურმარილოს სარეკლამოდაა გაკეთებული ეს აბრა. სომხურ სამზარეულოს არის მიკუთვნებული ჩვენი კახელების საყვარელი ხაშლამა. ეს ქართული კერძი არ არის და ამაზე ნერვიულობა უაზრობაა. თუმცა აი, ხაჭაპური და ხინკალი უკვე მეტისმეტია.

ხინკალის ქართული წარმომავლობა აქამდე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია. თუმცა, როგორც ჩანს, მისი ქართულობაც დროებითი აღმოჩნდა.

ასეთივე ოკუპაცია მოუწყვეს ჩვენს ქართულ კერძებს თუ ღვინოებს სომხებმა რამდენიმე თვის წინ. გახსოვთ, ალბათ ევროპაში „საფრავი“ სომხურ ღვინოდ რომ წარმოადგინეს. არადა, აქამდე ყველამ იცოდა, რომ სომხები შესანიშნავ კონიაკს ამზადებდნენ.

მარტო ეს რომ ყოფილიყო, კიდევ არა უშავს. ჩვენი საამაყო „ბორჯომი“ ამერიკაში სომხურ მინერალურ წყალად გაასაღეს. მის ქართულ წარმომავლობაში თვით გენადი ონიშჩენკოსა და ვლადიმერ ჟირინოვსკისაც კი არ ეპარებათ ეჭვი.

საფრანგეთის ქალაქების მარკეტებში სომხურად გამოცხადებულ ქართულ პროდუქციას მრავლად შეხვდებით. იქ, ჩვენი გემრიელი და საყვარელი ჩურჩხელაც იყიდება. ოღონდ სხვა სახელით, აქ მას „სომხურ სასწაულად“ მოიხსენიებენ.

საფრანგეთში თონის პური სომხურ პურად მოიხსენიება, ხაჭაპურს სახელი სულ ოდნავ შეუცვალეს და „ხაჩატრიანი“ დაარქვეს.

საფრანგეთის სუპერმარკეტებში ასევე გამოჩნდა ხმელი სუნელი, რომელსაც ასევე აწერია „ხმელი სუნელი ზაპახ კავკაზა იზ ერევანა“, „მეგრული აჯიკა“ და „ერევანსკი შებოლილი სულგუნი“.

ასეთევე პროდუქცია ჩვენებურებმა გერმანიის მაღაზიებშიც აღმოაჩინეს. ამაზე მაშინ ქართულმა მედიამ ბევრი ინერვიულა. ჩემმა ერთმა კოლეგამ ამასთან დაკავშირებით საინტერესო რამ დაწერა. თქვა, „მალე დრო მოვა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში სომხები სარჩელს შეიტანენ — ქართველები სომხურ პროდუქციას ქართულად ასაღებენო“.

იქვე იმედიც მოგვცა, ხინკალი ისევ ქართულიაო. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, ხინკლის ქართული წარმომავლობა დროებითი მოვლენა აღმოჩნდა.

აქამდე თუშ-ფშავ-ხევსურ-მოხევეები ერთმანეთს უმტკიცებდნენ ხინკალი ჩვენ მოვიგონეთო. ახლა წავიდნენ და სომხებს გააგებინონ, რომ ხინკალი ქართულია.

## თენგიზ სიგუა: სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი საქართველომ დაიწყო

2008 წლის აგვისტოში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ომი საქართველომ დაიწყო- ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ საქართველოს მთავრობის ყოფილმა ხელმძღვანელმა თენგიზ სიგუამ განუცხადა.

— 2008 წელს ომი ჩვენ დავიწყეთ. ჩვენ დავიწყეთ ცხინვალში სროლები, რუსი სამშვიდობოების დაღუპვამ, რუსის ჯარს უფლება მისცა, აქტიურად ჩარეულიყვნენ მოვლენებში, — აღნიშნა სიგუამ.

მედიანიუსი

# სად იქნება სააკაშვილი 2013 წლის შემდეგ?

ნინო მეტრეველი

ამ გუნდს ნაცმოძრაობაში ვანო მერაბიშვილის გუნდი ჰქვია. ნაციონალურ კულუარებში იმასაც ამბობენ, ვანო მერაბიშვილს პრეზიდენტობა თავისთვის უნდაო. ერთი შეხედვით, ეს თითქოს გამორიცხულია. ამ ჯგუფის ხისტი მოქმედებები, ხალხის დარბევები, მკვლელობები, უსამართლო დაჭერები, ციხეებში მომხდარი უბდურებები — ეს ყელაფერი ვანო მერაბიშვლის პოლიტიკურ ფიალაშია მოქცეული. მაგრამ მოდით, მედალს მეორე მხრიდან შევხედოთ. 35 ათასამდე პოლიციელი, რომლებიც საკთუარი ბელადისთვის თავსაც კი გაწირავენ, კიდევ 25 ათასამდე პატიმარი, თავიანთი სააxლობლო-სანათესაოთი, ამას დავუმატოთ ყურებით დაჭერილი ბიზნესმენები, რომელთა სულიც ისევ იმ მონსტრის ხელშია, რასაც შინაგან საქმეთა სამინიტრო ჰქვია და გამოვა, რომ ნაცმოძრაობის ამომრჩევლის უმეტესობა მერაბიშვილის ხელშია. ზიგადად იმასაც ამბობენ, ქვეყანას სააკაშვილი კი არა, ხშირ შემთხვევაში მერაბიშვილი მართავოს, მაგრამ ამის რატომღაც არ მჯერა. სანამ მიშაა პირველი, იმის ჩიტი არა, მის გარეშე ცაში ფრინველმა გაინავრდოს და დედამიწაზე — ჭიანჭველამ. ისიც კია, რომ თავად პრეზიდენტის სიახლოვე უფრო ამ გუნდთან ჩანს, ვიდრე თავისუფლების ინსტიტუტელებთან.

დავით ბაქრაძე, ვანო მერაბიშვილი, ნიკა გილაური, პეტრე ცისკარიშვილი, გიორგი არველაძე. შიდა ქარლით და ხელისუფლებისთვის ხმების ბეღელი — ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი; სამეგრელო ახალიების მეთაურობით. ანუ ცესკოს თავმჯომარედ უნდა იყოს შემთხვევით დანიშნული მერაბიშვილის მეგობარი ზურაბ ხარატიშვილი.

მართალია მერაბიშვილის დასავლეთი პატივს არ სცემს, მაგრამ რუსეთშია დიდად პატივსაცემი პიროვნება. რუსული პრესა ხშიროად წერს მასზე და თუ საქათრველოში რამე მოსწონთ, ეს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი რეფორმებია. ამ გაზაფხულზე მერაბიშვილი ბაქოშიც შეხვდა რუს კოლეგას. რატომ? კაცმა ვერ გაიგო. გამორიცხული შესაბამისად არც მერაბიშვილის გაპრეზიდენტებაა, მაგრამ მას სამომავლოდ უფრო პრემიერ-მინისტრად მოიაზრებენ. იმ შემთხვევაში, თუ დემოკრატიული სამყარო სააკაშვილს პრემიერობას, ანუ პუტინიზაციას გადააფიქრებინებს.

შესაბამისად ნაცებში მთავრი საჯილდაო ქვა საპარლამენტო სიები იქნება. აქამდე პარტიულ სიას ვანო მერაბიშვილი ადგენდა სააკაშვილთან ერთად. თუ 2012 წლისთვის ასე იქნება და რაღა თქმა უნდა, ასე იქნება, მაშინ ვანოს პარლამენტის თავისი ერთგული ხალხით დაკომპლექტება არ გაუჭირდება და შესაბამისად პრემიერიც გახდება, თუ მოისურვებს.

ვინ გახდება ასეთ შემთხვევში პრეზიდენტი?

აქ წინა პლანზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე გამოდის. ბაქრაძის სახელის გასვრას მერაბიშვილის გუნდი ერიდება, რადგან მათ სხვა საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავთ. ნაციონალურ მოძრაობში ბაქრაძე უცილო ფავორიტია ამერიკელებისთვის. ეს გუნდი თავისუფლების ინსტიტუტელებისგან განსხვავებით ეროვნულ მოტივებზე ცდილობს დადგომას. სვანეთში მთვრალი გივი თარგამაძე რომ ყვიროდა, ახლა ქალი მინდაო, სწორედ ამიტომ გალახეს და გამოაძევს იქიდან მერაბიშვილის დაცვა, ბიჭო, შენ თავი უკრაინაში ხომ არ გგონიაო. ნიშანდობლივია, რომ ბაქრაძე რელიგიური კონფესიების კანონის მიღების დროსაც განზე გადგა. მეორე მოსმენას საზვარგარეთული ვიზიტი დაამთხვია, პირველი მოსმენისას დარბაზში იყო, მაგრამ ხმა არ მისცა. ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

**თავისუფლების ინსტიტუტი, უშიშროების საბჭოს მდივნის გიგა ბოკერიას თავკაცობით ხომ გიგი უგულავას გულშემატკივრობს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში და უგულავსაც აქვს ჩესუხსი გახდეს პრეზიდენტი, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. რა შანსები აქვს ნაცმოძრაობის მებრძოლ გუნდს პოსტსააკაშვილისეულ ეპოქაში?**

— სწორედ ბაქრაძეა ის პოლიტიკური პირი, რომელიც რეალურად დამაბალანსებელი ფიგურა იქნება, რომელსაც სხვადასხვა მხარე ენდობა, რომელიც არ იქნება დესტაბილიზაციის გამომწვევი წყარო და არ ექნება კონსტიტუციაზე გადაბიჯების მცდელობები, — ასე ახასიათებს ბაქრაძის ფიგურას რამაზ საყვარელიძე.

სოსო ცისკარივშლის დახასიათებით ბაქრაძე „უთავმოყვარეო ადამიანთა“ პირველ ათეულში არ არის, მაგრამ ვერც არსენა ოძელაშვილის და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ათეულში წარმოუდგენია.

დავით ბაქრაძე თავის მორჩილებითაც მისაღებია ამ გუნდისთვის. გაპრეზიდენტების შემთხვევაში შეიძლება ყველას დაავიწყდეს, ვინაა ქვეყნის პრეზიდენტი. ბაქრაძე დღეს იმითაც კმაყოფილია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ჰქვია და პარლამენტში ფეისბუქელი მეგობრების მიყვანის უფლება აქვს. მაგრამ აქვს დიდი ნაკლი, რომელიც პრეზიდენტად ასარჩევად აუცილებელია. საერთოდ არ აქვს ქარიზმა და არც პოლემიკით გამოირჩევა დიდად. ხშირ შემთხვევაში ლაპარაკიც კი ეზარება.

ამდენად ერთი გუნდი — თავისუფლების ინსტიტუტელები საპრეზიდენტოდ, სავარაუდოდ გიგი უგულავას ამზადებენ, მეორე — მერაბიშვილის „სასტავი“ — დავით ბაქრაძეს. თუმცა აქაც დადის ბოროტი ხმები, თუ დასავლეთმა ბევრი იჭიჭყინა, ყველგან თქვენ როგორ უნდა იყოთო, ორივე გუნდი მზადაა, პრეზიდენტის სიმბოლური პოსტი თავისთვის სასურველ პოლიტიკურ ლიდერს დაუთმოს. ბოკერიასთვის ასეთად ირაკლი ალასანია სახელდება, მერაბიშვილისთვის — გიორგი თარგამაძე.

სადაა აქ სააკაშვილის ინტერესები? ის, სავარაუდოდ, უფრო ქორების გუნდის მხარესაა, მაგრამ გამორიცხული არ არის, თავის კანდიდატურაზე აპირებდეს ფსონის დადებას და ასეთ შემთხვევაში როგორც ქორების, ისე ვაიმტრედების შრომა წყალშია ჩაყრილი.



პრეზიდენტ სააკაშვილის მემკვიდრე შესაძლებელია აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი, სააკაშვილის სტუდენტობის მეგობარი ლევან ვარშალომიძეც იყოს. ვარშალომიძეს რომ პრეზიდენტის ზურგი აქვს, ეს მასა და პრემიერ გილაურის დაპირისპირებაშიც გამოჩნდა. ვარშალომიძის ბოლო, ხმაურიანი ვიზიტი თბილისში სწორედ იმით დასრულდა, რომ მას გილაურმა უფლებები „მოუმატა“ და ახლა აჭარელი მმართველები თბილისთან აღარ ათანხმებენ რეგიონულ საკითხებს.

მთელი ხელისუფლება აჭარის რეკლამირებათაა დაკავებული, ყველაზე დიდი ფული იქ იხარჯება. სააკაშვილი თითქმის მთელ დროს ბათუმში ატარებს. უგულავასგან განსხვავებით ბაქრაძე და ვარშალომიძე არ წარმოადგენენ სააკაშვილისთვის საშიშს, ყოველთვის მის მითითებებს დაემორჩილებიან და ხუთი წლის შემდეგაც არ ექნებათ პრეტენზია პრეზიდენტად დარჩენაზე, რასაც უგულავასა და თავისუფლების გუნდზე ვერ იტყვი. ვარშალომიძის გაპრეზიდენტება შეიძლება პოლიტიკური კუხითაც იყოს სააკაშვილისთვის მომგებიანი. ვარშალომიძეს კარგი კონტაქტები აქვთ თურქეთის ხელისუფლებასთან.

სად იქნება თავად მიხეილ სააკაშვილი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ყოველთვის თავს არიდებს, ჩემთვის მნიშვნელოვანი ის კი არაა, სად ვიქნები 2013 წელს, არამედ ის, სად იქნება ქვეყანაო. „გაპუტინება“ კი ძალიან უნდა, მაგრამ მისი ამ ახირების გამო დასავლეთი „დემოკრატიის შუქურის“ პროექტს სავარაუდოდ ვერ ჩააქრობს. ძნელად წარმოსადგენია სააკაშვილის პარლამენტის თავმჯდომარეობა, მაგრამ ისე უყვარს საზღარგარეთ სეირნობა, შეიძლება უარიც არ თქვას. არის კიდევ ერთი ვარაუდი, სააკაშვილი არც პრემიერობას აპირებს და არც პარლამენტის თავმჯდომარეობას, მაგრამ ამას წინდაწინ არ ამბობს, რომ პარტია თავზე არ ჩამოაშალოსო. ნაცმოძრაობაში ბევრი ისევ სააკაშვილის გაპრეზიდენტების თუ გაპრემირების იმედით ცხოვრობს.

აბა, რომ ამბობს, პოლიტიკიდან არ წავალთო? პრეზიდენტად ან პრემიერად არყოფნა სულაც არ ნიშნავს პოლიტიკიდან წასვლას, ან ოპოზიციაში გადასვლას. დიდი შანსია მომავალი ხუთი წელი, ანუ სანამ კვლა მიეცემა პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება, სააკაშვილმა ნაცმოძრაობის მთავარ ოფისში დაიდოს კაბინეტი და როგორც მმართველი პარტიის თავმჯდომარე არაოფიცილური მმართველი გახდეს. ოღონდ პირველი ვიოლინოს პრინციპით. ერთ გუნდს პრეზიდენტის სავარძელს აჩუქებს, მეორეს — პარლამენტის თავმჯდომარისას, გააკონტროლებს ერთსაც და მეორესაც.




# სოფიო ხორგუანი: ხელისუფლება თანამემამულეებს ორ კატეგორიად ჰყოფს — „ჩვენ“ და „ისინი“

**ინტერვიუ „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრ სოფიო ხორგუანთან**

*— ქართული პარტიას მნიშვნელოვანი თემების დაანონსება უყვარს. სულ რამდენიმე ხნის წინ პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა სექტემბერში ბრიუსელის კონფერენცია დააანონსა. ეს ფაქტი ცრუ დაპირება ხომ არ აღმოჩნდება და საერთოდ, რას ნიშნავს ბრიუსელის კონფერენცია?*

— მიხეილ სააკაშვილს აქვს პროექტი — ფსევდო-ძლიერი სახელმწიფო. ეს პროექტი ყალბია და ძალადობას და უსამართლობას ეფუძნება. ჩვენ, ოპოზიციამ, უნდა შევთავაზოთ ადამიანებს ალტერნატიული პროექტი, რომელიც ყველასთვის მისაღები და გასაგები იქნება. „ქართული პარტიის“ შემოთავაზება სამ პოსტულატს ეფუძნება - თვითმყოფადობა, უსაფრთხოება და პროგრესი - ადამიანების კეთილდღეობისთვის. მე მინდა, ვიცხოვრო ევროპული ღირებულებების მატარებელ ქვეყანაში, მაგრამ როგორ უნდა განვითარდეს ეს ქვეყანა, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები? ყველამ ერთად უნდა მივიღოთ ამაში მონაწილეობა, ჩვენი შეხედულებები უნდა გავხადოთ ხელმისაწვდომი და მივიტანოთ თითოეულ მოქალაქემდე. თითოეულმა ადამიანმა უნდა მიიღოს პროექტის განხილვაში მონაწილეობა იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ყველა ჩვენთაგანისაა და არა მარტო მიხეილ სააკაშვილის ან „ნაციონალური მოძრაობის“. სანამ ეროსი კიწმარიშვილი „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი გახდებოდა ბევრი წარმატებული პროექტი განახორციელა. მან იცის, როგორ დაარწმუნოს ადამიანები იმაში, რომ რაღაც გააკეთონ საკუთარი ქვეყნისთვის. წარმატება იქნება, თუ საბოლოოდ ბრიუსელის კონფერენცია გახდება დონორთა კონფერენცია, რომელიც ჩვენი ქვეყნას სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს. თუ დღეს ეროსი კიწმარიშვილი „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანია, რატომ უნდა თქვას მან უარი იმ უნარებზე, რომელიც მას გააჩნია? „გადაარჩინე საქართველო“ — ასე ერქმევა კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად შეთავაზებას მიიღებს ყველა, ვისაც აინტერესებს ამ ქვეყნის გადარჩენა. თუ რომელიმე ჩვენი თანამემამულე რუსეთის მოქალაქეა, ეს ვერ იქნება მისი კონფერენციაში მონაწილეობის ხელისშემშლელი პირობა - ხელისუფლება თანამემამულეებს ორ კატეგორიად ჰყოფს — „ჩვენ“ და „ისინი“. ძალიან ბევრი ადამიანი წასულია ქვეყნიდან. ქვეყნიდან

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილმა 2004 წელს პირობა დადო, რომ თბილისს დევნილებისგან გაათავისუფლებდა“

ნონა ცაბა ე

**ინტერვიუ ექსპერტ კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან**

*— ბატონო პაატა, დღეს საკმაოდ მწვავედ დგას დევნილების საკითხი. აფხაზეთიდან დევნილები დღემდე დაუსრულებელ დევნილობაში არიან, რით ახსნით თქვენ ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას მათდამი?*

— უკვე ერთი წელია რაც მიმდინარეობს დევნილების უგვანო, უკანონო და მანკიერი გამოსახლების პროცესი. ეს შარშან დაიწყო ივლისში და გრძელდება ამ ფორმით დღემდე. ხელისუფლება პოულობს იმ დროს, როცა საზოგადოება მოდუნებულია შედარებით, ან საახალწლო განწყობაზეა და ან საშვებულებო, საზაფხულო განწყობაზე და ამ დროს ახდენს ხოლმე ასეთ არაადამიანურ მოქმედებებს. მთელი პრობლემა ის არის, რომ დევნილები ჩაბარებულები არიან, რომ იტყვიან, მსხვერპლის როლში არიან და ელოდებიან, როდის მიაკითხავენ და დაუკაკუნებენ, იმის მაგივრად, რომ იაქტიურონ. ახლა გვიანაა უკვე აქტიურობა. მე განცვიფრებული ვარ პირდაპირ, ამხელა სოციალური ქსელი, როგორიც არის დევნილთა ქსელი საქართველოში, ასეთი სოციალური ფენომენი დღემდე ვერ ახდენს პოლიტიკურ გავლენას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, რომ ვერ შექმნეს ვერც ერთი პარტია, რომელიც იქნებოდა ყველაზე ხალხმრავალი და ყველაზე მდიდარი. იმიტომ, რომ თითო დევნილმა ერთი ლარი რომ გადაიხადოს თვეში, ასეთი მდიდარი პოლიტიკური პარტია არ იქნება საქართველოში. ვერ მოახერხეს ის, რომ იპოვონ თავიანთ რიგებში 20-30 პატიოსანი კაცი, ვინც არ გაიყიდება, ვინც არც შეშინდება, არ დაშანტაჟდება და დევნილების ისეთ პოლიტიკურ პარტიას შექმნის, რომელიც პარლამენტში შევა და პარლამენტში დააკერებს ნაციონალურ მოძრაობას ცხვირპირში, აი, ასეთი უგვანო საქციელის გამო. კიდევ აქვთ ამ მხრივ გარკვეული შანსები, სულ მალე იქნება საპარლამენტო არჩევნები და მათ შანსები აქვთ, ახლა მაინც დააფიქსირონ თავიანთი პოლიტიკური ხმა და სამოქალაქო ხმა, ქართულ რეალობაში. რადგან ეს უმსგავსობა კიდევ დიდხანს არ გაჩერდება, იმიტომ, რომ ყველაზე ადვილად თავში წამოსარტყმელი სააკაშვილისთვის აღმოჩნდა დევნილები.

*— თბილისს მთლიანად წმენდს დევნილებისგან...*

— როგორც კი სააკაშვილი გახდა პრეზიდენტი 2004 წელს, მან ერთ-ერთ უცხოურ გამოცემას მისცა პირველი ინტერვიუ, სადაც მან თქვა — ჩვენ განვმუხტეთ პოლიტიკური სიტუაცია ქალაქში, განვასახლეთ რა დევნილები ქალაქის ცენტრიდან. იგულისხმა ივერიიდან და აჭარიდან დევნილების განსახლება. იქიდან მოყოლებული ამ ადამიანს სძულს ეს დევნილები. მე განცვიფრებული ვარ პირდაპირ, როგორ უყვართ დევნილებს სააკაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანს არ ერიდება, დააფიქსიროს თავისი სიძულვილი ამ ხალხის მიმართ. სააკაშვილს ეშინია დევნილების, რადგან მათში ხედავს ყველაზე სერიოზულ პოლიტიკურ და სამოქალაქო ძალას. ამ ხალხმა რომ მოინდომოს, ერთი ამოსუნთქვით, ერთი სულის შებერვით შეუძლია სააკაშვილი გაისტუმროს, იმიტომ, რომ სულ ცოტა 200 ათასი კაცი არის ამომრჩეველი, მათ შეუძლიათ, რომ სულ ცოტა 12-13%-იანი პარტია გაიყვანონ პარლამენტში.



*— მათ დაბრუნებაზე კი საერთოდ აღარავინ საუბრობს...*

— აღარავინ ლაპარაკობს მათ დაბრუნებაზე. ლაპარაკობენ მხოლოდ მათ განდევნაზე. ოდესღაც აფხაზეთში დევნილებს უთხრეს, რომ თქვენი ადგილი აფხაზეთში არ არის და გაეთრიეთ აქედან! ოდესღაც სამხრეთ ოსეთში ადგილობრივებს უთხრეს, რომ თქვენი ადგილი აქ არ არის და გაეთრიეთ ცხინვალიდან! აი, დღეს, სააკაშვილი ეუბნება მათ, რომ თქვენი ადგილი თბილისში არ არის და გაეთრიეთ თბილისიდან! ერთადერთი, რაც შეიძლება ამ ხალხს ვუთხრა, უნდა აღიჭურვონ და შეიმოსონ დღეს მოთმინებით და იდავონ სასამართლოში, იმიტომ, რომ კანონი აძლევს მათ სასამართლოში დავის უფლებას. სამ-ოთხ წელიწადში შეიძლება სტრასბურგამდე მივიდნენ და სტრასბურგი აუცილებლად დაადასტურებს, რომ მათ ჰქონდათ ღირსეული კომპენსაციის უფლება და არა ის სამარცხვინო ათი ათასი დოლარი. თუ ისინი არ აიღებენ ამ ფულს და სასამართლოში წავლენ, ისინი გაცილებით მეტს მიიღებენ სახელმწიფოსაგან, ვიდრე დღეს სთავაზობს მათ სახელმწიფო.

*— ბატონო პაატა, როგორ ფიქრობთ, არჩევნებამდე ყველა ბინძური საქმის გაკეთებას ასწრებს ჩვენი ხელისუფლება?*

— ისინი ცდილობენ, რომ 2011 წელს მორჩნენ ყველაფერს. შემდეგ კი დაიწყება ამ ხალხის ყიდვა. მერე მისცემენ დევნილებს ხუთჯერ ხუთ ლარს, რათა ხუთიანი კარგად დაამახსოვრონ და მათ ხმებს იყიდიან. ღმერთმა ქნას, რომ მე მართალი არ ვიყო, მაგრამ ყველაზე სერიოზულ ხმებს სააკაშვილი ღებულობს სამი სეგმენტიდან, ეს არის ქვემო ქართლი, ეს არის ჯავახეთი და ეს არის დევნილები.

*— დევნილებს რომ თავი დავანებოთ, თბილისის მოსახლეობაც უმძიმეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, თუნდაც იმ გაზრდილი გადასახადების გამო...*

— ვიდრე ჩვენ ამას ყველაფერს ვიტანთ, ხელისუფლება უარესად მოიქცევა. ძალიან ცუდ შედარებას მოვიყვან, მაგრამ როცა ქალი ქუჩაში გადის და ქუჩის ქალი ხდება, მას გარეწარმა მამაკაცმა რაც არ უნდა აკადროს, ის ამას იტანს. რაკი ჩვენ ამას ვიტანთ, სააკაშვილიც ყველაფერს გვაკადრებს. როცა ღირსებას დავიბრუნებთ ჩვენ და ვიტყვით — არა, ჩვენ არა ვართ ის ხალხი, როგორადაც შენ გვთვლი, აი, მაშინ სხვანაირად მოგვექცევიან. გაძვირებული ფასების შემდეგ არც ერთი სამოქალაქო აქტიურობა არ ყოფილა. გაძვირდა, მაგალითად, ფასები ბენზინზე? — რა გახდა, რომ გარკვეული პერიოდი მოვითმინოთ და ბენზინი არ ჩავასხათ მანქანაში? ამით ვაჩვენებთ ხელისუფლებას, რომ ასე იოლი არ არის, ჩვენ ამით გაგაკოტრებთ შენ თუ ასეთი რამე გამიბედე. გაძვირდა სამარშრუტო ტაქსებზე მგზავრობის ღირებულება? — აი, ერთი თვე არ ჩავჯდეთ ამ სამარშრუტო ტაქსებში, ცოტა გავიჭირვოთ, სხვა ფორმა გამოვნახოთ, მაგრამ გავაკოტროთ ეს კომპანია, აბა, ნახავთ, თუ არ დაუკლებენ ფასს. ხელისუფლების ასეთ ქცევებს სწორედ ასეთი ქცევები სჭირდება საზოგადოებიდან, მაგრამ რეაქცია ნულია საზოგადოების მხრიდან. სააკაშვილი კი ამბობს, ეს აიტანეს? კიდევ უფრო მეტს აიტანენ, კიდევ გავაძვირებ, კიდევ უფრო დავაწვები ზემოდან, აბა, ვნახოთ, რამდენ ხანს გაძლებენ? სააკაშვილი ცდის ქართველების მოთმინებას. ჩემდა სამწუხაროდ, და ჩვენდა საუბედუროდ, ქართველების მოთმინება ყოფილა უსაზღვრო.

*— ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამ არჩევნებსაც მოიგებს და ამიტომაც იქცევა ასე...*

— ამიტომ უნდა დადგეს უკვე ის დრო, რომ აივსოს მოთმინების ფიალა და ქართველებმა თქვან — ახლა მორჩა! ამის ატანა უკვე აღარ შეიძლება! ყველა უნდა მივიდეს არჩევნებზე დ არავინ ხმა არ უნდა მისცეს სააკაშვილს, მაგრამ ვიდრე საზოგადოებაში არსებობს სერიოზული ძალა, რომელიც იყიდება ხუთ ლარზე, ათ ლარზე, ას ლარზე და მთავარია მისთვის არა სახელმწიფო, არამედ მისი მოკლევადიანი, ერთდღიანი კეთილდღეობა, ვიდრე საქართველო ეტევა იმ ერთ ჭიქა სადღეგრძელოში, რომელსაც ის სვამს, ვიდრე ეს დამოკიდებულებაა საქართველოსადმი, რა თქმა უნდა, ჩვენ ასე ვიქნებით და კიდევ უფრო უარესად.

*— ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ ახლა ზაფხულია, დაცლილია ქალაქი და ამიტომ არის ასეთი პასიური საზოგადოება, შემოდგომით კი საკმაოდ მწვავე რეაქციები მოჰყვება თუნდაც ამ გაძვირებულ ფასებსო.*

— სამწუხაროდ, მე ამას ვერ ვხედავ, საზოგადოებაში აპათეა გრძელდება. ეს მაისშიც ჩანდა კარგად. მე არ მახსოვს სოციალურ საკითხებზე საქართველოში ხალხი ქუჩაში გამოსულიყო. ხალხი მასობრივად გამოდის მაშინ, როცა ვინმეს გაგდებაზეა ლაპარაკი.

*— 2012 წლის არჩევნებს რაც შეეხება, აქ თუ ხედავთ საზოგადოების მზაობას, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოს?*

— ხვალ რომ იყოს არჩევნები, რა თქმა უნდა, მე ამ მზაობას ვერ ვხედავ. იმედია, რომ 2012 წლის შემოდგომისთვის ეს მზაობა იქნება. ჯერჯერობით ამის მზაობა არანაირად არ ჩანს. ამიტომაცაა, რომ მოსაზრება, შეიძლება სააკაშვილს აწყობდეს ვადამდელი არჩევნები, საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრებაა. დღეს აპათეა ძლიერია, არავინ არ იცის, ეს აპათია გაგრძელდება თუ არა 2012 წლის არჩევნებისთვის, როდესაც მორიგი არჩევნებია მოსალოდნელი. ამიტომ მე არ გამოვრიცხავ, რომ სააკაშვილს აწყობდეს რაღაცა არეულობები, იგივე შემოდგომაზე, რათა დააბრალოს ეს საზოგადოებას და თქვას, ჰა, ჯანდაბას ჩავატაროთ არჩევნებიო. ხომ დააბრალა ოპოზიციას, თქვენ გინდოდათ ფული და თქვენ მთხოვეთო, ხომ მოიგონა მან, რომ ოპოზიცია მთხოვდა ფულსო. ასევე მოიგონებს, რომ ოპოზიცია მთხოვდა ვადამდელ არჩევნებსო, რომც არავინ არ ამოიღოს ხმა, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ასეთ თემებთან. არავის არ აწყობს ახლა ვადამდელი არჩევნები, ყველას სჭირდება, რომ დროულად მოვემზადოთ მორიგი არჩევნებისათვის. ხელისუფლებას მაქსიმალურად უნდა მოვთხოვოთ, რომ გააუმჯობესოს საარჩევნო გარემო. ერთი თემა მაინც გამოვგლიჯოთ ხელისუფლებას და რაღაც დავათმობინოთ. დღეს აპათია არის ძალიან ღრმა. 2012 წელს შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კრიზისი გაღრმავებული, თუმცა, მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილი ვადამდელ არჩევნებს ვერ გაბედავს, თუ არ იქნება ამის მძაფრი მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, სააკაშვილს გაუჭირდება ამის დანიშვნა. სააკაშვილს სჭირდება, რომ მას ვილაცამ შეუტიოს, ვიღაცამ არეულობა დაიწყოს, რათა ის ამაზე წავიდეს.

*— სწორედ ამიტომ ხომ არ ატარებს ასეთ პოლიტიკას, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს უკმაყოფილების ტალღა მოსახლეობაში და მართლაც ხომ არ აქვს მას ჩანაფიქრი ვადამდელი არჩევნების?*

— რა თქმა უნდა, თუნდაც ის კანონი რომ მიიღეს რელიგიური გაერთიანებების შესახებ, გარეგიბის ჩამოსვლას რომ დაუკავშირეს, აშკარად ჩანდა, რომ ეს იყო საზოგადოებაში არეულობის შეტანის მცდელობა. სამწუხაროდ, ვიღაც-ვიღაცები წამოეგენ ამ ანკესზე, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მერე ყველაფერი დაწყნარდა და სინოდმა ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო და სიტუაცია ჩააცხრო. თუმცა სააკაშვილის გათვლა იყო მხოლოდ ამაზე, რომ არეულობიდან წამოეღო რაღაც სათავისოდ. ასე რომ, მე ვადამდელ არჩევნებს არ გამოვრიცხავ.

# სოფიო ხორგუანი: ხელისუფლება თანამემამულეებს ორ კატეგორიად ჰყოფს — „ჩვენ“ და „ისინი“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მიგრაცია 50%-ით გაზრდილია. ზოგიერთი იქაც წვალობს, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ამ წლების მანძილზე წარმატებული კარიერა გაიკეთა. ღვთის წყალობით, ბევრი ნიჭიერი და პროფესიონალია, რომლებიც სამწუხაროდ, საქართველოში არ არიან, მაგრამ საქართველო უყვართ და კარგი საქმის კეთება შეუძლიათ. ასე, რომ, კონფერენცია ღიაა იმათთვის, ვისაც უნდა მიიღოს ისეთ საქართველოს შექმნაში მონაწილეობა, რომელშიც ყველას მოგვინდება ცხოვრება.

*— ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი პარტიას ტოვებენ. დაგეგმილი კონფერენცია ხომ არ არის ამის წინაპირობა?*

— ვინ ავრცელებს ხმებს, ვის ინტერესში შედიოდეს ის, რომ არ არსებობდეს ქვეყანაში ძალა, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში, იბრძვის უკეთესი საქართველოსთვის. ქართულ პარტიას ეს მიზანი არ შეუცვლია. არ მოგვწონს უსამართლობა, არ მოგვწონს დაბეჩავებული, დაკნინებული, შეშინებული მოსამართლეების სასამართლო, რომლებსაც პროკურორის უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე სამართლის, კანონის. არ მოგვწონს პროპაგანდისტული მედია, დაზაფრული და ერთი ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული ბიზნესი. არ მოგვწონს ხელისუფლების მიერ გაუაზრებელი პოლიტიკის გატარება ნებისმიერი მიმართულებით. სახალხო დამცველის სოზარ სუბარის მოადგილედ ყოფნის დროს ბევრი ისეთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ძალიან მძიმე გადაწყვეტილებები იყო მისაღები. სოზარი ხელისუფლების წინააღმდეგ წავიდა იმიტომ, რომ უსამართლობას ხედავდა, იმიტომ, რომ ადამიანის და სამართლის მხარეს დგომა გადაწყვიტა. როგორი ხმებიც არ უნდა ვრცელდებოდეს, ვინც არ უნდა ამბობდეს რამეს, მე ვფიქრობ, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ, უბრალოდ მართალია, რადგან მე არ მჯერა იმის, რომ ვინმეს შეიძლება, მოსწონდეს ღატაკ, შეშინებულ, უსამართლო გარემოში ცხოვრება. აუცილებელი არ არის, ქუჩაში მე გამლახოს ვილაცამ. როდესაც ჩემს გვერდით ვინმეს ჩაგრავენ, ამ დროს ჩემი ღირსება ილახება.



*— ხვალ რომ არჩევნები დაინიშნოს თქვენ, როგორც რადიკალური ფრთის წარმომადგენლები, მიიღებთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას?*

— ნებისმიერ არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობას. ჩვენ ვამბობთ, თუ იქნება სამოქალაქო პროტესტი, „ქართული პარტია“ მიიღებს სამოქალაქო პროტესტის ორგანიზებაში მონაწილეობას. თუ ხალხი იტყვის, რომ მას ხელისუფლების გაცილება უნდა, ჩვენ დავეხმარებით ხალხს ხელისუფლების გაცილებაში. ხვალ რომ დაინიშნოს არჩევნები, ჩვენ ამ არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ. ყველას გვესმის, რომ საქმე გვაქვს რეჟიმთან, არანაირი მოლოდინი იმისა, რომ რეჟიმი დათმობს რეალურ საარჩევნო გარემოს, არ გვაქვს. თუმცა, ასეთ პირობებშიც კი მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. და თუ კი, ხელისფლება კვლავ უტიფრად გააყალბებს არჩევნებს, ამაზე ძალიან მძიმე პასუხს მიიღებს ხალხისგან.

*— თუმცა „ქართულ პარტიას“ რამდენიმე ლიდერი მოაკლდა... რა ძალებით?*

— გვინდა, რაც შეიძლება, ბევრი ადამიანი ჩავრთოთ ქვეყნის მშენებლობის პროცესში. ჩვენ არ ვართ ლიდერების პარტია. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხთან მუშაობა, ადამიანების ჩართულობა, მათი იდეების მოსმენა. „ქართულ პარტია“ს შეუერთდნენ ახალგაზრდები, მათი ვინაობა საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რაც მთავარია, არც ერთ მათგანს სამუშაო წიგნაკი„ პარტიაში არ გაუხნია. ზოგი მათგანი რეჟისორია, ზოგი ჟურნალისტი, არქიტექტორი. ისინი ყოველთვის გამოხატავდნენ თავის დამოკიდებულებას უსამართლობის მიმართ. მხოლოდ რამდენიმეს გეტყვით: ლუკა წულაძე, ირაკლი კორძაია და დავით ჩართოლანი. სექტემბერში საზოგადოებას კიდევ რამოდენი წარმატებულ ახალგაზრდას წარვუდგენთ. ასე, რომ, მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობენ პროფესიონალი, წესიერი ადამიანები, რომლებსაც ეს ქვეყანა უყვართ. საჭიროა, მათი მეტი აქტიურობა.

ნიჰილიზმი, ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც პოლიტიკური პარტიების მიმართ არსებობს უნდა დავძლიოთ. დავძლიოთ რადგან ის მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ადამიანების ამგვარ დამოკიდებულებას აქვს ობიექტური მიზეზები, მაგრამ „ქართული პარტია“ ხალხთან ერთად ამასაც დაძლევს.

**პირველი**

# ნაგვის გადასახადს ქდმ სტრასბურგში გაასაჩივრებს



ნანა მიშელაშვილი

„ქრისტიან-დემოკრატები“ ბრძოლას ევროპის სასამართლომდე აპირებენ. გიორგი თარგამაძის პარტია თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებს. საკითხი შეეხება თბილისის საკრებულოს იმ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც დასუფთავების გადასახადი მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობას მიება. მართალია, საქალაქო სასამართლომ „ქრისტიან-დემოკრატების“ სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ ისინი გადაწყვეტილების გასაჩივრებას ჯერ სააპელაციო სასამართლოში აპირებენ, შემდეგ კი ევროპის სასამართლოს მიმართავენ. გუშინ საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანმა ბრიფინგი გამართა და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ისაუბრა. ახვლედიანის განმარტებით, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება მორალური თუ ლოგიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია და შესაბამის საკანონმდებლო ნორმებთანაც წინააღმდეგობაში მოდის.

ახვლედიანმა აქცენტი გააკეთა პარლამენტის მიერ „მოსაკრებლის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებზე, რომლის გათვალისწინებით, დასუფთავების გადასახადის ოდენობა თვეში ერთ სულ მოსახლეზე სამ ლარს არ უნდა აღემატებოდეს.

დეპუტატი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში საკრებულოს დადგენილება კანონზე მაღლა დადგა და მოხმარებული ელექტროენერგიის კილოვატსაათების მიხედვით დაანგარიშებული დასუფთავების გადასახადი კანონით დადგენილ სამ ლარს აღემატება.

— სასამართლომ საკრებულოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ვერ დაინახა, როგორ ზარალდებიან მოქალაქეები საკრებულოს ამ გადაწყვეტილებით. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება სოციალურად სამართლიანია, სრული ტყუილია. მოსახლეობას, რომელიც აქამდე ერთ სულზე 2 ლარსა და 50 თეთრს იხდიდა, სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში მყოფნი კი — 1,5 ლარს, ელექტროენერგიაზე მიბმული დასუფთავების გადასახადი 3-4-ჯერ უძვირდება, — განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

ფრაქციის თავმჯდომარე აცხადებს, რომ აქამდე თბილისის საკრებულოს დადგენილების ამოქმედების შედეგად დასუფთავების გადასახადიდან ბიუჯეტში დამატებით 13-14 მილიონი ლარი შევა და აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაც სწორედ ამით არის განპირობებული.

ახვლედიანი აცხადებს, რომ ეს თემა არ მიჩუმათდება და, თუ საჭირო გახდა, სააპელაციო სასამართლოს შემდეგ ევროპულ სასამართლომდე მივლენ. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებს“ იუსტიციის საბჭოში წევრი ჰყავს და ამ საკითხის დასმას საბჭოს წინაშე აპირებენ.

ახვლედიანი ამბობს, რომ იუსტიციის საბჭოში ერთადერთი ოპოზიციონერი დეპუტატია, რომელიც მოითხოვს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაანალიზდეს და შეფასება მიეცეს. ამდენად, სასამართლომ ძალაში დატოვა საკრებულოს გადაწყვეტილება და დედაქალაქის მოსახლეობა დასუფთავების გადასახადს ახალი წესით იხდიან. მოსახლეობას უკვე დაურიგდა ახალი ქვითრები, რომლის მიხედვითაც დასუფთავების გადასახადი მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობას მიება.

# ნუგზარ წიკლაური: „ხელისუფლება მხოლოდ არჩევნებით შეიცვლება“

ნანა მიშელაშვილი



**როდის დაიწყება აქტიური წინასაარჩევნო ფაზა და რას იზამს ოპოზიცია და მმართველი პარტია? „ახალი თაობა“ ნუგზარ წიკლაურს ამ თემაზე ესაუბრა.**

***— ოპოზიციის ნაწილმა წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო. აქტიური წინასაარჩევნო ფაზა როდიდან დაიწყება?***

— აქტიური წინასაარჩევნო ფაზა გვიანი შემოდგომიდან დაიწყება. ყველა ოპოზიციურ ძალას დაწყებული აქვს წინასაარჩევნო კამპანია. ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წლის არჩევნები ცენტრალური პოლიტიკური მოვლენაა. კარგია, რომ ყმაწვილური სენი საქართველომ უკვე გადალახა. როდესაც ვამბობდით, რომ 5 ან 15 ათასი კაცი შეიკრიბება და ერთი ხელისუფლება წავა და მეორე მოვა.

***— ქუჩის აქციებით ხელისუფლება არ მიდის?***

— ჩვენ ამას ვეუბნებოდით, თუმცა, ეს მათ არ სჯეროდათ. ძირითადად არ სჯეროდათ მათ, ვინც კრემლში კონსულტაციებს გადიოდა. ახლა თავის გონებაში მაინც ყველა შეთანხმდა, რომ ხელისუფლების ცვლილება ხდება ლეგიტიმური გზით და ეს არის არჩევნები.

***— ისინი, ვინც ქუჩის აქციებს ატარებდნენ, რადიკალური ფრთა არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას თუ ბოიკოტის გზას დაადგება?***

— ერთადერთი ვითარება, რა შემთხვევაშიც ისინი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, არის ის, თუკი მათი რეიტინგი იქნება იმდენად დაბალი, რომ ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს, პარლამენტში მოხვდნენ. თუ ყველა რადიკალმა მოახერხა გაერთიანება და ჩათვალეს, რომ რამდენიმე პროცენტის მობილიზება შეუძლიათ, მაშინ ისინი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ. თუ ჩათვალეს, რომ ეს აბსოლუტურად უპერსპექტივოა, მაშინ ისინი არჩევნებში მონაწილეობას მოერიდებიან, მით უმეტეს სხვადასხვა სოციოლოგიურ გამოკითხვაში ეს ისედაც ფიქსირდება. მათი რეიტინგი მერყეობს ნული მთელი რაღაც მეათედიდან მაქსიმუმ 1,5%-მდე.

***— რადიკალური განწყობილების რეიტინგი ასეთი დაბალია?***

— ძალიან დაბალია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ „ქართულ პარტიას“, ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის დაჯგუფებას. თუ ამათ მოახდინეს გაერთიანება და გადაწყვიტეს, რომ ბარიერის გადალახვის შანსი აქვთ, შესაძლოა, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. სხვა შემთხვევაში ისინი გააკეთებენ განცხადებას, რომ არჩევნებში მონაწილეობა უაზრობაა და მონაწილეობას არ მიიღებენ. ძირითადი პოლიტიკური სპექტრი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

***— რამდენად არის მოსალოდნელი, რომ ნინო ბურჯანაძის პარტია, „ქართული პარტია“ და ზურაბ ნოღაიდელის პარტია არჩევნების წინ გაერთიანდნენ?***

— ვერ გეტყვით. ამ ადამიანებს, ამ პოლიტიკურ ძალებს არა აქვთ თავიანთი კრედო, იდეოლოგია, მრწამსი. ერთი თვის მონაცვლეობით ხან ერთიანობის დემონსტრირებას ახდენენ, ხან ერთმანეთს საშინლად ლანძღავენ და ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.

***— ირაკლი ოქრუაშვილსა და ლევან გაჩეჩილაძეს გულისხმობთ?***

— ბურჯანაძესაც, ირაკლი ოქრუაშვილსაც. ყველას ახსოვს, რომ წლის დასაწყისში იყო სკანდალი, როდესაც ნინო ბურჯანაძესა და ბადრი ბიწაძის ინფორმაციისა თუ ფსევდოინფორმაციის წყალობით „ასავალ დასავალში“ დაიბეჭდა ლევან გაჩეჩილაძის წინააღმდეგ მასალები და შემდეგ იყო გამოხმაურება და უშვერი ლანძღვა-გინება. არ გასულა ერთი კვირა და სხვა ვითარება იყო. ჩვენ არ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმაზე, არიან თუ არა ისინი რომელიმე პოლიტიკური მიმართულების ერთგული, აქვთ თუ არა პოლიტიკური მრწამსი. გარკვეული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მათ ურჩევნიათ, გაერთიანდნენ, მაგრამ არასდროს არ არის არც მემარცხენეობა, არაც მემარჯვენეობა და არც ცენტრისტობა.

***— რამ შეიძლება გააერთიანოს „ქართული პარტია“, ბურჯანაძე და ნოღაიდელი?***

— ზოგი მოსკოვში ჟირინოვკისთან დადის, ზოგი — პუტინთან, ზოგი — მედვედევთან და სხვადასხვა ტიპის ინსტრუქტაჟებს იღებს. ესენი ის ადამიანები არიან, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში წარმატების მისაღწევად დამპყრობელი ქვეყნის სამსახურს არ გამორიცხავენ. რუსეთიც საქართველოს დასასუსტებლად ყველა სახის კოლაბორაციონისტის გამოყენებასა და რეკრუტირებას აქტიურად ცდილობს. ეს ძალები ქართული პოლიტიკური ცხოვრებისათვის დასრულდნენ.

***— თქვენ ამბობთ, რომ ბურჯანაძეს პოლიტიკური მომავალი არა აქვს?***

— მე ვერ ვხედავ მის პოლიტიკურ მომავალს.

***— ნოღაიდელის პოლიტიკური მომავალი როგორია?***

— აქ ლაპარაკი უკვე ზედმეტია.

***— რაც შეეხება „ქართულ პარტიას“?***

— ყველას ესმის, შიგნით რა ტიპის ბრალდებებია. ეს თემები უკვე საინტერესო აღარ არის. საქართველოში ჩატარებულა ისეთი არჩევნები, როდესაც პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ერთმანეთს ლანძღვაში, დაკნინებაში, დამცირებაში ეჯიბრებიან. ეს ძალიან მძიმე მდგომარეობა ქართველმა საზოგადოებამ დაინახა. განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც პარტიები ცდილობენ, მეორეს ნაკლზე მიუთითონ და ამით საზოგადოებას დაანახვონ, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა არ შეიძლება შეეჭიდოს სხვადასხვა პრობლემას. ყველაფერს თავისი ლიმიტი აქვს, ყველაფერი ლიმიტირებულია. არჩევნები, რომელიც 2012 წლისათვის იმართება, ძირითადად მაინც პოზიტიური ნიშნით წარიმართება. მე ვხედავ პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც ხელისუფლების კრიტიკაც შეუძლიათ, მაგრამ, იმავდროულად, შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი პროგრამა და გეგმები.

***— ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს ოპოზიცია არჩევნების წინ საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად არ გამოიყენებს?***

— ეგ არის პოლიტიკური ცხოვრება. პოლიტიკოსები უშვებენ შეცდომებს და აქვთ წარმატებებიც. როდესაც ხელისუფლება არჩევნებზე მიდის, ამომრჩეველი აფასებს, თუ რა უფრო მეტი იყო ოთხწლიან პერიოდში — იყო მეტი წარმატება, წინსვლა თუ უარყოფითი შედეგები. ჩვენ შევეცდებით, წარმატებები და ძვრები კიდევ უფრო ხელშესახები იყოს.

***— ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ საკმაოდ არაპოპულარული გადაწყვეტილებები მიიღო, თუნდაც ტრანსპორტის გაძვირებისა და სოციალური კუთხით?***

— რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არაპოპულარულია, პოპულარული იქნება, 50 თეთრი კი რომ არ ყოფილიყო, არამედ — 5 თეთრი.

***— საკმაოდ მძიმედ დააწვა მოსახლეობას 80 თეთრამდე ტრანსპორტის გაძვირება.***

— გასაგებია, მაგრამ, ერთი მხრივ, ჩვენ გვინდა უსაფრთხო ტრანსპორტი, არ გვინდა, რომ ქალაქში გამონაბოლქვი იყოს.

***— ძველი „მარშრუტკები“ ისევ დადიან და ისინიც 80 თეთრი რომ ღირს?***

— ყოველთვიურად, პარკი განახლდება და განახლდება.

***— მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რამდენმა პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება გადალახოს ბარიერი?***

— ვერ გეტყვით. საარჩევნო ბარიერს ის პოლიტიკური ძალები გადალახავენ, რომლებსაც, გარდა ბრალდებებით დამუხტული საარჩევნო პროგრამისა, შეთავაზება ექნებათ საქართველოს მომავალთან დაკავშირებით.

***— ასეთი რამდენი შეიძლება იყოს?***

— არ ვიცი, ორი ან სამი პარტია.

***— ნაციონალური მოძრაობა მომავალ პარლამენტში ისევ უმრავლესობაში იქნება?***

— ეს არავინ იცის. ჩვენ ჩვენი ხალხის მაგივრად გადაწყვეტილებებს ვერ მივიღებთ.

# სოჭში უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა



სოჭში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩს შეხვდა.

ორი ქვეყნის ლიდერების საუბრის მთავარი თემა გაზის საკითხი იყო. პრეზიდენტებმა ასევე ისაუბრეს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებულ საკითხებზე.

უკრაინის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ისინი ამ რთული საკითხების მოგვარების გზებს იპოვიან.

მედვედევის განცხადებით, გაზის საკითხზე თანამშრომლობა რუსეთსა და უკრაინას შორის არც ისე მარტივია და დამატებით განხილვას საჭიროებს. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი მთავრობათაშორისი კომისიის შეხვედრის მომზადებაა.

მედვედევის განცხადებით, უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობა დადებითად ვითარდება.

— საუბარი უნდა იყოს გულწრფელი, პირდაპირი და მეგობრული, — აღნიშნა მედვედევმა.

უკრაინის პრეზიდენტის თქმით, რუსეთსა და უკრაინას შორის პრობლემებიცაა, თუმცა ეს ჩვეულებივი პროცესია, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება.

**მედიანიუსი**

# ბიწაძის სასამართლო პროცესზე შოთა უტიაშვილი გუშინაც არ გამოცხადდა



სასაზღვრო პოლიციის ყოფილ უფროს ბადრი ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით ჩვენების მისაცემად შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი სასამართლოში გუშინაც არ გამოცხადდა.

როგორც „მედიანიუსს“ ბიწაძის ადვოკატმა ლევან სამუშიამ განუცხადა, დაცვის მხარე უტიაშვილის სასამართლოში გამოცხადებას კატეგორიულად მოითხოვს, თუმცა კვლავაც უცნობია, თუ როდის მივა იგი თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ადვოკატის განცხადებით, დაცვის მხარემ თავისი მოწმეების დაკითხვა თითქმის დაასრულა.

— ერთდაერთი რჩება ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ამჟამად უკრაინაში იმყოფება კონფერენციაზე, იგი თბილისში დაახლოებით 17-18 აგვისტოს დაბრუნდება და სასამართლოსაც ამ პერიოდში მისცემს ჩვენებას, — განაცხადა ადვოკატმა და დასძინა, რომ თუ სასამართლო განხილვები ამ ტემპით გაგრძელდება, ბიწაძის სასამართლო პროცესი ძალიან მალე დასრულდება.

— ჩემი ვარაუდით, ეს ამ თვეშივე მოხდება, — განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ უტიაშვილი სასამართლოში ჯერ კიდევ ორშაბათს უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა მისი დაკითხვა ვერ მოხერხდა. შს სამინისტროს ადმინისტრაციის განმარტებით, უტიაშვილი მივლინებით ბათუმში იმყოფება.



თბილსის საქალაქო სასამართლოში ბიწაძის საქმესთან დაკავშირებით განხილვები შაბათ-კვირის გარდა ყოველდღიურად იმართება.

**მედიანიუსი**

# პატრიარქი აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს მონათლავს



13 აგვისტოს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბათუმის საკათედრო ტაძარში აჭარაში მცხოვრებ ეთნიკურ აფხაზებს მონათლავს.

როგორც „მედიანიუსს„ საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურიდან აცნობეს, ნათლობა დილის 12 საათზე დაიწყება. მისი დასრულების შემდეგ კი უწმინდესი სარფში კოლხობის დღესასწაულს დაესწრება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქი ბათუმში 10 აგვისტოს გვიან ღამით ჩავიდა.

ილია მეორემ გუშინ წმინდა ნიკოლოზის ტაძარი მოილოცა და მას იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჯვარი შესწირა.

უწმინდესი თბილისში მომავალ კვირას დაბრუდება.

**მედიანიუსი**

# ერეკლე მეორის სასახლე შემოდგომაზე განახლდება

ეკა ირემაშვილი

**მეფე ერეკლე მეორის სასახლეში, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ჯერ კიდევ აპრილში კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მეფე ერეკლე მეორის ყოფილი სასახლე ნგრევის პირას იყო, კახთა მეფის ყოფილ სასახლეში სახურავიდან წყალი ჩადიოდა, კედლები დაბზარული იყო, არ არსებობდა გათბობა და ვენტილაცია დარბაზებში, რაც ექსპონატების დაზიანებას იწვევდა.**

ერეკლე მეორის ყოფილი სასახლე თელავის ისტორიული მუზეუმის შემადგენლობაშია. სასახლეს რეაბილიტაცია გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ არ ჩასტარებია. მუზეუმის დირექტორ გურამ ურჩუხიშვილის თქმით, სასახლეს ძეგლის სტატუსი აქვს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე მუზეუმი ვერაფერს გააკეთებს.

კახთა მეფის სასახლე მე-17 საუკუნეშია აგებული. მეფე ერეკლეს მემორიალური ნივთების გარდა, მუზეუმში დაცულია ნუმიზმატიკური მასალა, ადრეფეოდალური ხანის სარკოფაგი, გვიანი შუა საუკუნეების აბჯარი, XVII-XIX სს-ის სპილენძის საოჯახო ნივთების, საბრძოლო იარაღის, ხევსურული სამოსელის კოლექციები.

ზაფხული ერეკლე მეორის სასახლისთვის საკმაოდ აქტიური და საქმიანია. მუზეუმის თანამშრომელთა მიერ მიმდინარეობს დაცული ექსპონატების აღწერა. არსებული უნიკალური ექსპონატები — დოქები, ქილები, ჭურჭელი, რომლებიც ისტორიულია და ანალოგი არ გააჩნია, სპეციალისტების მიერ ხარისხდება. აქამდე ყველა უნიკალური ნივთი, იქნებოდა ის ხის თუ მინის, ერთ საცავში ინახებოდა, რაც მათ განადგურებას იწვევდა. ახლა კი ერეკლე მეორის ყოფილ სასახლეში დაცული ნივთების აღწერა მიმდინარეობს. აღწერის შემდეგ გაკეთდება ნივთების სპეციალური ახალი ფონდსაცავი, სადაც ყველა დაცული მასალა განთავსდება. ხისა და კერამიკის ნივთების აღწერის შემდეგ მუზეუმში უკვე სხვა ექსპონატების აღწერა დაიწყება.

როგორც ერეკლე მეორის მუზეუმის დირექტორი გურამ ურჩუხიშვილი განმარტავს, მუზეუმში 20 წელზე მეტია აღწერა არ ჩატარებულა. მუზეუმში დაცულია მუსიკალური ინსტრუმენტები, აკვნები, დოქები, რომლებიც ხის სტელაჟებზე ელაგა. დროთა განმავლობაში ხის სტელაჟებს ჭია უჩნდებოდა, რომელიც შემდგომში მუზეუმში დაცულ უნიკალურ ნივთებსაც ანადგურებდა. ამიერიდან განახლებულ მუზეუმში ყველაფერი ლითონის სტელაჟებზე განლაგდება. საჭირო ვენტილაცია და გათბობა კი განაპირობებს იმას, რომ ეს ნივთები სათანადოდ იქნება დაცული და მოვლილი.

კახთა მეფის სასახლე ერთადერთია, რომელიც ჩვენამდე პირვანდელი სახით შემორჩა. მასში დაცულია 5 ათასზე მეტი ხის ექსპონატი. ბევრი მათგანი ამ სასახლეში კერძო კოლექციიდან მოხვდა. დამთვალიერებლისთვის რამდენიმე დარბაზი ჯერ კიდევ 1927 წელს გაიღო. ყველაზე დიდ ინტერესს ის დარბაზი იწვევს, სადაც კახთა მეფე დაიბადა და გარდაიცვალა. ამ დარბაზში, მისი პირადი ნივთების გარდა, ის იარაღებიც არის დაცული, რომლებსაც მეფე ომში ხმარობდა. ერეკლე მეორის ყოფილ სასახლეში, მემორიალური ნივთების გარდა, სხვა მნიშვნელოვანი ნივთებიც არის დაცული.

სასახლეში დაცული უნიკალური ექსპონატების განადგურების გარდა, პრობლემად რჩება შენობის სავალალო მდგომარეობა. აივანი ისეა გადახურული, რომ წვიმის დროს იქ წყალი გუბდება და სასახლეში წყალი ჩადის. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელი აცხადებს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებით მდგომარეობა შემოდგომისთვის გამოსწორდება. განახლებული ერეკლე მეორის ყოფილი სასახლე სტუმრებს უკვე შემოდგომიდან მიიღებს.

კახეთის რეგიონში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციასაც ახორციელებს. მისი რეაბილიტაციის დასრულებაც სექტემბერშია დაგეგმილი. სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს. გურჯაანში მდებარე ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის მთავარი და მნიშვნელოვანი ეტაპი მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება, რომლის შედეგად სახლ-მუზეუმის ძირითად შენობას პირვანდელი იერსახე დაუბრუნდება.

2009 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნულმა კავშირმა ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და საკვლევი საფიქსაციო დოკუმენტაცია შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედო სახლ-მუზეუმში გადაუდებელი ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებით მიმდინარე წელს მოხდება ძირითადი შენობის სრული განახლება, შენობის ფასადის რეაბილიტაცია, I და II სართულის ხის დეკორატიული აივნებისა და ხის კარ-ფანჯრების რესტავრაცია და განხორციელდება სახლ-მუზეუმის ძირითადი შენობის ინტერიერის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები.

ცნობილი კინომსახიობის ნატო ვაჩნაძე-ანდრონიკაშვილის სახლ-მუზეუმი მის მამისეულ სახლშია განთავსებული. ანდრონიკაშვილების „სასახლე“ გურჯაანში, ე.წ. ბეზარაანთ უბანში მდებარეობს. სახლის მშენებლობა XIX საუკუნის დასაწყისში ფხოველიდან გადმოსახლებულ პატა ანდრონიკაშვილს დაუწყია და მის ვაჟს ალექსანდრეს დაუსრულებია. ანდრონიკაშვილების გვარი შუა საუკუნეებში იღებს სათავეს და გადმოცემით ბიზანტიის იმპერატორთა კომნენთა დინასტიიდან მომდინარეობს.

— სახლ-მუზეუმის ფართო ეზო ორ ნაგებობას — ძველ, დიდ ორსართულიან აგურის სასახლესა და შედარებით მცირე ზომის გვიანდელ სართულ-ნახევრიან სახლს აერთიანებს. მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მსახიობისა და მისი ოჯახის წევრთა მემორიალური ნივთები — XIX-XX საუკუნეების დასაწყისის ავეჯი, ხალიჩები, ფარდაგები, ჭურჭელი, ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, ფოტომასალა, დოკუმენტები, მსახიობის შესახებ გამოცემული წიგნები ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით კინოფილმების ასლები. მუზეუმში დაცულია კახეთის მხარისთვის დამახასიათებელი ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, ამიტომ ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან ძვირფასია და მათი მომავალი თაობებისთვის გადასაცემად ჩვენი სააგენტო ყველაფერს გააკეთებს, — აღნიშნავს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ბორჯომში ისტორიული „ფირუზას“ რეაბილიტაციასაც ახორციელებს. შენობა განლაგებულია ქალაქ ბორჯომში, მდინარე ბორჯომულას ხეობაში, ბორჯომ-პარკის შესასვლელთან და ქართულ-სპარსული ურთიერთობების განსხვავებულ ფაზასა და პერიოდს ასახავს.

ერთ დროს გამორჩეული სანატორიუმი გაუქმების შემდეგ, წლების განმავლობაში მოუვლელობით, კლდიდან ქვების ცვენისა თუ შენობაში ატმოსფერული ნალექების ჩადინებით, ადამიანის ზემოქმედებითა და არასწორი ექსპლუატაციის შედეგად განადგურების პირას აღმოჩნდა. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით 2010 წელს საპროექტო სახელოსნო „არქიტექტორები ჯი“-მ შენობის სრული რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია მოამზადა. 2011-2012 წელს ისტორიულ „ფირუზას“ პირვანდელი სახე დაუბრუნდება. სამუშაოს შპს „რესტავრატორები და კომპანია“ ახორციელებს.

პროექტის მიხედვით შენობის მთლიანი კონსტრუქციის, ფასადებისა და ინტერიერის რეაბილიტაცია განხორციელდება. განახლდება აივნისა და ოთახების მოხატულობა და დეკორატიული ინკრუსტაციები, მოეწყობა გარე ელექტროსამონტაჟო სისტემები და შიდა საინჟინრო კომუნიკაციები. პროექტის დასკვნით ეტაპზე მოხდება ტერიტორიის სრული კეთილმოწყობა.

— სასტუმრო სახლი „ფირუზა“ 1892 წელს ირანის საელჩოს წარმომადგენლის დაკვეთით აშენდა. ფსევდომავრიტანული არქიტექტურული სტილის ნაგებობის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებას ირანული, ევროპული და ქართული ხელოვნების სინთეზი განსაზღვრავს და გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს საერო დანიშნულების ნაგებობათა შორის. შენობა შემკულია სპარსული სამოქალაქო არქიტექტურისთვის დამახასიათებელი დეკორატიული მოხატულობით, ძერწული თაბაშირის ორნამენტებით, სარკის ინკრუსტაციით, ფერადმინიანი ხის ვიტრაჟებითა და ხის აჟურული დეტალებით, რაც საქართველოში იშვიათად გვხვდება. განუმეორებელი დეკორაციები თავად ირანელი ოსტატების მიერ არის შესრულებული და, ამდენად, იგი განსაკუთრებით ფასეულია არა მხოლოდ ქართული, არამედ ირანული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, — აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საგანგებო ღონისძიება მიუძღვნა ძველი თბილისის განვითარებას, გამოწვევებსა და შესაძლებლობებსაც. საერთაშორისო სემინარი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის ორგანიზებით გაიმართა. სემინარის, რომლის სახელწოდებაა „ძველი თბილისის მდგრადი განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“, მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ნორვეგიული გამოცდილების საფუძველზე ძველი თბილისის ისტორიული უბნების განვითარების საკითხების განხილვა. სემინარზე გაიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, რიკსანტეკვარენის — ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატისა და ნორვეგიის სამეფო საელჩოს წარმომადგენლების მხრიდან დაგეგმილი პრეზენტაციები და დისკუსია თემაზე „მდგრადი განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები“. სხვადასხვა თემაზე მოხსენებები როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა სპეციალისტებმაც წაიკითხეს.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ნართმეული მოგება

**მოლდოვა — საქართველო 2:2**

**0:1 შეყილაძე (32), 1:1 ანდრონიკი (64პ), 1:2 ქობალია (84), 2:2 მანდრიჩენკო (90პ)**

**მოლდოვა:** რუსუ, ლეი, კოსტანდაკი, იონიცე (ლამბარსკი 70), მანდრიჩენკო, ანდრონიკი (ტრიბოი 70), გეორგიევი (სკრიპჩენკო 88), სტარჩუკი (გინსარი 54)

**საქართველო:** ზარქუა (ლეგაშვილი 46), იოსელიანი, აფაქიძე, კალანდაძე, ჯიშკარიანი, ყაზაიშვილი (გუგუჩია 80), კვეკვესკირი, თარხნიშვილი (ოქრიაშვილი 46), ჭანტურია (ჯილაური 46), ძალამიძე (ქობალია 46), შეყილაძე (ბეგლარიშვილი 81)

ის, რაც მოლდოვაში მოხდა, მხოლოდ თავის ქვეყანაზე „უზომოდ შეყვარებულ“ მსაჯებს თუ შეუძლიათ რომ გააკეთონ. მოლდოვაში, ადგილობრივ ახალგაზრდულ ნაკრებსა და მათ ქართველ თანატოლებს შორის გამართული შეხვედრა ფრედ, ანგარიშით 2:2 დასრულდა. ოთარ გაბელიას გუნდი შეხვედრის მიმდინარეობისას 2-ჯერ იგებდა, მაგრამ მატჩის მოლდოველი არბიტრმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართველებს თამაში არ მოეგოთ.

მატჩის პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. დასაწყისში მასპინძლები ცოტა უკეთ გამოიყურებოდნენ და ორჯერ დაარტყეს კიდეც თორნიკე ზარქუას კარის მიმართულებით, მაგრამ არცთუ სახიფათოდ. მე-9 წუთზე, ანგარიშის გახსნა ვაკო ყაზაიშვილს შეეძლო, როდესაც მოხდენილი მოძრაობით მცველი ჩამოიშორა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ქართველმა ფეხბურთელმა მეტოქის რუსუს ვერ აჯობა.

გაბელიას შეგირდებმა ანგარიშის გახსნა მაინც მოახერხეს — 32-ე წუთზე მოლდაველთა კარში გოლი ირაკლი შეყილაძემ გაიტანა.

მე-2 ტაიმი ჯილაურის შორეული და ძლიერი დარტყმით დაიწყო, მაგრამ მოლდოველთა მეკარე უშეცდომოდ გაისარჯა. ამის შემდეგ, მასპინძლებმა შეტევებს უმატეს, რამაც შედეგი 64-ე წუთზე მოიტანა, როდესაც კალანდაძე იონიცეზე საპენალტედ დაჯარიმდა, ხოლო სტანდარტი გოლად ანდრონიკმა აქცია.

მოლდოველებმა შეტევები გატანილი გოლის შემდეგაც განაგრძეს, მაგრამ შეცვლაზე შესული ლეგაშვილის კართან ისინი განსაკუთრებულ ხიფათს ვერ ქმნიდნენ. სამაგიეროდ, შედეგიანი გამოდგა 84-ე წუთზე ქართველი ფეხბურთელების მიერ განხორციელებული შეტევა. მოედანზე 3 წუთის შესული ბეგლარიშვილის ჩაწოდებულზე თამაშში ასევე სათადარიგოთა სკამიდან ჩართულმა ქობალიამ მეკარეს თავით დაასწრო და საქართველოს ნაკრები დააწინაურა.

მატჩის ბოლოს კი მოლდოველმა არბიტრმა ორი ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომ მოლდავური მედიაც მის შეცდომებზე საუბრობს. ჯერ შეხვედრას 6 წუთი დაამატა, ხოლო როდესაც ამ დროის ამოწურვამდე ერთი წუთი რჩებოდა, ქართველი ფეხბურთელების მიერ საჯარიმოს გარეთ წესების დარღვევა თერთმეტმეტრიანად გამოიგონა და მანდრიჩენკოს შეხვედრის საბოლოო ანგარიშის დაფიქსირების საშუალება მისცა.

# საქართველოს ნაკრები ნაგებას დაეჩვია

**პოლონეთი — საქართველო 1:0**

**1:0 ბლაშჩიკოვსკი (36)**

**პოლონეთი:** შჩესნი, ვოიტკოვიაკი, იოდლოვიეცი, გლოვაცკი, ვავრჟინიაკი, ბლაშჩიკოვსკი (რიბუსი 90), პოლანსკი (დუდკა 75), მურავსკი (მატუშიკი 85), მიერჩიევსკი, ობრანიაკი (პავლოვსკი 80), ლევანდოვსკი (ბროჟეკი 60)

**საქართველო:** ლორია, ხუბუტია, კალაძე, ამისულაშვილი (გრიგალავა 46), ლობჟანიძე, თარგამაძე, კანკავა (დაუშვილი 73), კობიაშვილი (კვირკველია 81), გრიგალაშვილი (კაშია 63), მარცვალაძე (ვაწაძე 63), დვალიშვილი (გურული 46)



საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მესამე მატჩი წააგო. არადა, ეს ყველაფერი ხანგრძლივ წაუგებელ სერიას მოჰყვა. მარცხი ამჯერად ამხანაგურ მატჩში განვიცადეთ, რაც არასდროსაა ტრაგედია, მაგრამ მაინც უსიამოვნოა, როცა აგებ გუნდთან, რომელიც შენზე მაინცდამაინც უკეთესი არ არის და თანაც, ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგ შანსს გაუშვებ ხელიდან.

კარგი კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა გაგვახსენა, შეტევაც რომ შეუძლია. შესარჩევი ეტაპის მატჩებისგან განსხვავებით, თემურ ქეცბაიამ ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე შემტევი ყაიდის ფეხბურთელი გაამწესა, რაც დაეტყო კიდეც გუნდს და იმის მიუხედავად, რომ არცთუ მტკიცე პოლონური დაცვის დაჯაბნას ხშირად ვერ ვახერხებდით, მაინც გამოჩნდა, რომ საჭიროების შემთხვევაში წინ წასვლაც შეგვიძლია. თანაც, ჯანო ანანიძისა და კიდევ რამდენიმე მოთამაშის არყოფნაში ლიუბლინში ჩვენი შემტევი პოტენციალი სრულად ვერც წარმოჩნდებოდა.

კარგია ისიც, რომ ქეცბაია თამამად ენდო ახალწვეულებს და ორი მათგანი პირდაპირ ძირითადში ჩართო. შოთა გრიგალაშვილი ნაკრებში მთლად უცხოც არ არის და კლაუს ტოპმიოლერის დროს უთამაშია, მაგრამ დღევანდელი ფორმაციის ნაკრებისთვის მაინც ახალი ფიგურაა. ფაქტია, რომ გრიგალაშვილს ეროვნულ გუნდშიც ისევე თამამად და სასარგებლოდ შეუძლია იმოქმედოს, როგორც „ზესტაფონში“;

არანაკლები ქების ღირსია გრიგალაშვილზე გაცილებით უმცროსი დავით თარგამაძე, რომელმაც სადებიუტო სანაკრებო მატჩში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, ითამაშა სრულიად შეუბოჭველად და დაამტკიცა, რომ ნაკრების შემტევი პოტენციალის გაძლიერება მასაც შეუძლია.

ჩვენთვის ორი ასეთი მოთამაშის სანაკრებოდ აღმოჩენა ნამდვილად სახეირო ამბავია.

ქართველებმა თამაში თამამად დაიწყეს და უკვე მე-3 წუთზე პოლონელთა საჯარიმოში შეჭრილი თარგამაძე დაეცა, თუმცა მსაჯმა სიმულაცია დააფიქსირა და დებიუტანტი პენალტის ნაცვლად გაფრთხილებას გამორჩა.

პირველი ტაიმის შუამდე მასპინძლებს გიორგი ლორია საერთოდ არ შეუწუხებიათ, სამაგიეროდ, ჩვენებს ჰქონდათ ორი ნახევრადმომენტი. ჯერ კახა კალაძის შორეული დარტყმა ვოიცეხ შჩესნიმ იოლად მოიგერია, შემდეგ კი ხელსაყრელ პოზიციაში მდგომმა ოთარ მარცვალაძემ კი ბურთს ფეხი დაარტყა და მომენტიც გაანიავა.

ტაიმის დასკვნითი ნაწილი პოლონელებმა უკეთესად ჩაატარეს. ჯერ იყო და მეირჟეჩევსკის ძლიერი დარტყმა ქართველთა კარის ხარიხას გაეხახუნა, შემდეგ კი ლორიას უხეში შეცდომის შემდეგ კი ალექსანდრე ამისულაშვილმა გვიხსნა გარდაუვალი გოლისგან.

35-ე წუთზე გრიგალაშვილმა თარგამაძე მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ ამ დებიუტანტმა ამჯერად დარტყმა დააგვიანა. ამ მომენტის გამოუყენებლობის გამო დავისაჯეთ — რობერტ ლევანდოვსკიმ საუცხოო პასით ჩვენი ცენტრალური მცველები სახტად დატოვა და იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ თავისიანები დააწინაურა.

შესვენების შემდეგ ორივე მწვრთნელმა ცვლილებას არაერთხელ მიმართა, თუმცა ტემპი დიდად არ შეცვლილა. პოლონელებსაც და ქართველებსაც ტექნიკური წუნი ჰქონდათ, თამაში კი საშუალოზე დაბალ ტემპში გაგრძელდა.

შეცვლაზე შესულებს შეტევა ნამდვილად არ გაუძლიერებიათ, მაგრამ შანსი მაინც გვონდა — 61-ე წუთზე თარგამაძის პასით მარცვალაძე შჩესნისთან პირისპირ გავიდა და ლონდონის „არსენალის“ მეკარეს ვერ აჯობა.

პოლონელებს შესატევად თავი აღარ გამოუდიათ, ქართველებს კი მათ საჯარიმოში შეღწევა კვლავაც უჭირდათ. ბოლო მეტნაკლებად რეალური მომენტი შეცვლაზე შესულ დავით კვირკველიას ჰქონდა, როდესაც შორიდან მიწაზე დაუშვებლად დაარტყა, მაგრამ შჩესნი მის დარტყმულსაც გაუმკლავდა.

***მატჩის შემდეგ:***

**თემურ ქეცბაია:**

— წაგების მიუხედავად, ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ, რადგან მათ ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ისინი ბოლომდე იბრძოდნენ. ორივე გუნდმა კარგი თამაში აჩვენა. გულშემატკივარმა ბევრი საგოლე მომენტი ნახა, რაც ფეხბურთში მნიშვნელოვანია. მეტოქის კართან შექმნილი მომენტები ვერ გამოვიყენეთ და ამიტომაც დავმარცხდით. ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სექტემბერში ჩასატარებელი შეხვედრები. ჩვენი გუნდის ბევრ ფეხბურთელს საკუთარ კლუბებში სეზონი არ დაუწყია, რაც ეტყობოდათ კიდეც.

# ფაბრეგასის „ბარსელონაში“ დაბრუნება საათების ამბავია



სესკ ფაბრეგასის „ბარსელონაში“ ტრანსფერი დასასრულს უახლოვდება — ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, „არსენალი“ შეთავაზებულ თანხას დათანხმდა.

ბი-ბი-სის ცნობით, შაბათ-კვირას ფაბრეგასის ტრანსფერი ოფიციალურად დადასტურდება. აღებული თანხით „მეთოფეები“ ცენტრალური მცველის შეძენას აპირებენ. სავარაუდოდ, სკოტ დანს, ფილ იაგიელკას ან ჰარი კეჰილს დაიმატებენ.

ვარაუდობენ, რომ „ბარსელონა“ □არსენალს□ 29 მილიონ ევროს გადაუხდის ნაღდს გადაუხდის, ხოლო ამას დაემატება 6 მილიონი ევრო ბონუსების სახით. 5 მილიონ ევროს სესკი თავისი ჯიბიდან აპირებს გადაიხადოს, ოღონდ „ბასაში“ ითამაშოს. გარდა ამისა, ფაბრეგასი თანახმაა, რომ „ბარსელონაში“ შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში მილიონი ევროთი ნაკლები ხელფასი მიიღოს.

საბოლოო ჯამში, სესკ ფაბრეგასის ტრანსფერი 40 მილიონი ევროთი შეფასდება.

სამშაბათს, 16 აგვისტოს, „არსენალი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს გამართავს. ლონდონელები „უდინეზეს“□ დაუპირისპირდებიან. ამ შეხვედრაში ფაბრეგასის მონაწილეობის შემთხვევაში, ის ველარ შეძლებს ჩემპიონთა ლიგაზე დაეხმაროს „ბარსელონას“. რა თქმა უნდა, ეს კატალონიელებს არ აწყობთ და ცდილობენ სესკის ტრანსფერი დააჩქარონ.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ე.ჩ. — 2012. შესარჩევი ეტაპი**

| | |
|---|---|
| ჩრ.ირლანდია-ფარერები | 4:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| იაპონია-ს.კორეა | 3:0 |
| გამბია-დემ.კონგო | 3:0 |
| ჩინეთი-იამაიკა | 1:0 |
| ყაზახეთი-სირია | 1:1 |
| აზერბაიჯანი-მაკედონია | 0:1 |
| რუსეთი-სერბეთი | 1:0 |
| ლიტვა-სომხეთი | 3:0 |
| ლატვია-ფინეთი | 0:2 |
| ბელარუსი-ბულგარეთი | 1:0 |
| კვიპროსი-მოლდოვა | 3:2 |
| სენეგალი-მაროკო | 0:2 |
| კოტ დივუარი-ისრაელი | 4:3 |
| უნგრეთი-ისლანდია | 4:0 |
| ალბანეთი-ჩერნოგორია | 3:2 |
| ნორვეგია-ჩეხეთი | 3:0 |
| უკრაინა-შვედეთი | 0:1 |
| ლიხტენშტეინი-შვეიცარია | 1:2 |
| ს.აფრიკა-ბურკინა ფასო | 3:0 |
| ავსტრია-სლოვაკეთი | 1:2 |
| პოლონეთი-საქართველო | 1:0 |
| სან მარინო-რუმინეთი | 0:1 |
| თურქეთი-ესტონეთი | 3:0 |
| გერმანია-ბრაზილია | 3:2 |
| ირლანდია-ხორვატია | 0:0 |
| იტალია-ესპანეთი | 2:1 |
| სლოვენია-ბელგია | 0:0 |
| უელსი-ავსტრალია | 1:2 |
| შოტლანდია-დანია | 2:1 |
| ბოსნია-საბერძნეთი | 0:0 |
| საფრანგეთი-ჩილე | 1:1 |
| პორტუგალია-ლუქსემბურგი | 5:0 |
| ჰონდურასი-ვენესუელა | 2:0 |
| ბოლივია-პანამა | 1:3 |
| აშშ-მექსიკა | 1:1 |
| კოსტა რიკა-ეკვადორი | 0:2 |

**ე.ჩ. — 2013. შესარჩევიეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ჩრ.ირლანდია-ფარერები | 4:0 |
| ჩეხეთი-ანდორა | 8:0 |
| ფინეთი-სლოვენია | 1:0 |
| საბერძნეთი-ბელარუსი | 2:3 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| იტალია-შვეიცარია | 1:1 |
| მოლდოვა-საქართველო | 2:2 |
| უკრაინა-უკბეკეთი | 0:0 |
| შოტლანდია-ნორვეგია | 3:0 |
| პოლონეთი-დანია | 1:0 |
| ჩერნოგორია-ბოსნია | 3:1 |
| შვედეთი-ჰოლანდია | 3:0 |
| უელსი-უნგრეთი | 1:2 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| სანტოსი-კორინთიანსი | 0:0 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ლიტვა | 91:76 |

**ჩოგბურთი**

**ატპ. მონრეალი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| პეტშნერი-კარლოვიჩი | 7:6;6:7;6:7 |
| ფედერერი-პოსპიშილი | 6:3;7:6 |
| ცონგა-ტომიჩი | 6:3;7:6 |
| ალმაგრო-სტახოვსკი | 6:2;7:6 |
| ვერდასკო-კამკე | 5:7;6:3;6:3 |
| ლოპესი-შტეპანეკი | 6:4;4:6;6:4 |
| მონფილსი-ბოგომოლოვი | 6:2;7:6 |
| ჯოკოვიჩი-დავიდენკო | 7:5;6:1 |
| გასკე-ბელუჩი | 6:1;6:4 |
| დელ პოტრო-ჩილიჩი | 3:6;4:6 |
| ნადალი-დოდიგი | 6:1;6:7;6:7 |
| ისნერი-ტროიცკი | 4:6;6:3;2:6 |
| გულბისი-ლოდრა | 6:4;6:0 |

**ვტა. ტორონტო. ჰარდი**

| | |
|---|---|
| კლაისტერი-ჩუენი | 6:3;1:6;0:6 |
| ჰანტუჩოვა-მარტინეს სანჩესი | 5:7;2:6 |
| კვიტოვა-მედინა გარიგესი | 7:6;6:3 |
| საფაროვა-ჰალეპი | 6:2;6:4 |
| სკიავონე-მაკაროვა | 6:1;6:3 |
| ვოზნიაცკი-ვინჩი | 4:6;5:7 |
| რადვანსკა ა.-მარტიჩი | 6:3;6:3 |
| სტოსური-ვოზნიაკი | 6:3;6:4 |
| პენეტა-ვოსკობაევა | 6:2;3:6;2:6 |
| პეტკოვიჩი-არნი | 6:4;7:5 |
| უილიამსი!ს.-გერგესი | 6:1;7:6 |
| ივანოვიჩი-ბენეშოვა | 6:3;6:2 |
| ზვონარევა-პეტროვა | 7:5;6:4 |
| შარაპოვა-იოვანოვსკი | 6:1;7:5 |
| აზარენკო-დიუბუა | 6:0;6:0 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ხავი: „იდეალური არაფერია, მათ შორის „ბარსელონას“ თამაშიც“



**„ბარსელონას“ ერთ-ერთი ლიდერი ხავი ერნანდესი მე-14 სეზონს ატარებს კატალონიური კლუბის შემადგენლობაში. ხავის დიდი შანსი აქვს კატალონური გრანდის ისტორიაში ერთადერთი ფეხბურთელი გახდეს, რომელსაც ესპანეთის ჩემპიონის წოდება შვიდჯერ ექნება მოპოვებული.**

**სწორედ ამ თემით იწყება ინტერვიუ, რომელიც ესპანურ მედიაში გამოქვეყნდა.**

***— ცნობილია თუ არა თქვენთვის ის ფაქტი, რომ „ბარსელონას“ ფეხბურთელთაგან ესპანეთის ჩემპიონის ტიტულების რაოდენობით ვერავინ გისწრებთ.***

— დიახ, ეს ამბავი ვიცი. პრიმერა დივიზიონი ექვსჯერ რამალიეტსს, პეპ გვარდიოლას, კარლეს ბუსკეტსს და მე გვაქვს მოგებული. იმის განცდა, რომ კლუბსა და ნაკრებში მნიშვნელოვანი მისია მაკისრია, ძალიან მახარებს და პასუხისმგებლობის გრძნობას კიდევ უფრო მმატებს. ფეხბურთი უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს, ფიზიკურად თავს მშვენივრად ვგრძნობ, თანაც ისეთი საფეხბურთო ტალანტების გვერდიგვერდ მიწევს თამაში, როგორებიც ბლომად არის „ბარსას“ შემადგენლობაში. ალექსის სანჩესის მოსვლის შემდეგ ჩვენი გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდა. შესაძლოა, სესკ ფაბრეგასიც დაგვემატოს (ეს თითქმის გადაწყვეტილი ამბავია), რაც წინასასეზონოდ ჩვენ გუნდს ძალიან წაადგება.

***— კარგად ათამაშდა ტიაგო, სავარაუდო ახალწვეულებს შორის ფაბრეგასის გვარიც ფიგურირებს. თუკი ეს ტრანსფერი განხორციელდა, სათადარიგოთა სკამზე გადანაცვლების საშიშროება ხომ არ გემუქრებათ?***

— არანაირად. ახალწვეულებთან კონკურენცია თამაშის გაუმჯობესებაში დამეხმარება. ეს მთლიანად გუნდისა და მისი ცალკეული ფეხბურთელების თამაშის პროგრესის ერთ□ერთი უმნიშვნელოვანესი ძალაა. ახალ სეზონში „ბარსელონას“ დაახლოებით 60 მატჩის ჩატარება მოუწევს. რაც გარკვეულწილად როტაციას საჭიროებს. გუნდში მყოფი ნებისმიერი ფეხბურთელი ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. მაგალითისთვის, სეიდუ კეიტა ავიღოთ — მალელ ნახევარმცველზე რატომღაც ბევრს არ საუბრობენ ხოლმე, მაგრამ თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ რამდენიმე ასპექტით იგი „ბარსას“ საკვანძო ფეხბურთელია.

***— მოვა დრო და „ბარსელონადან“ ხავის წასვლის დღეც დადგება.***

— ეს ცხოვრებისა და ფეხბურთის კანონია. მოვა დღე, როცა „კამპ ნოუდან“ ხავი და კარლეს პუიოლი წავლენ, მაგრამ ჩვენ ნაცვლად „ბარსაში“ უკეთესი ფეხბურთელები მოვლენ.

***— თქვენი თავი სხვა კლუბში მოთამაშე თუ წარმოგიდგენიათ? კარიერის მიწურულს სხვა გუნდში, თუნდაც „ბარსაზე“ რანგით უფრო დაბალში, ასპარეზობას ხომ არ ფიქრობთ?***

— არა. კარიერას „კამპ ნოუზე“ დავასრულებ. ჯერჯერობით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, „ბარსელონას“ მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ. ისე კი, ყოველი ახალი სეზონი ერთგვარი გამოცდის ჩაბარებაა. ავიღოთ თუნდაც ახლახან ჩატარებული მატჩები, რომლებშიც ორჯერ დავმარცხდით — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ჩივასთან“.

***— მაინც რა იყო მექსიკელებთან დიდი ანგარიშით წაგების მიზეზი?***

— მთლიანობაში, „ჩივასზე“ ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია, მატჩის მსვლელობისას ხშირად ვჯობდით კიდეც, მაგრამ ტაქტიკურად წავაგეთ. მოწინააღმდეგის კონტრშეტევების ჩაშლა ვერ მოვახერხეთ. ბოლო ბურთი კი სულაც სულელური გავუშვით. ერთიცაა, „ბარსელონას“ წინააღმდეგ ყველა გაორმაგებული ენერგიითა და მოტივირებით თამაშობს. აქედან გამომდინარე, ყოველ შეხვედრაში ძალის უკიდურესი მობილიზება გვიწევს.

***— როგორ გგონიათ, „ბარსას“ თამაშის გაძლიერების რესურსი კიდევ აქვს?***

— როგორც პეპ გვარდიოლა ამბობს, ჩვენი ძირითადი მოტივაციაც ესაა, თორემ მოუგებელი ტიტული არ დაგვრჩა. იდეალური ბუნებაში არაფერია, მათ შორის „ბარსელონას“ თამაშიც. წინსვლას ვცდილობთ, რადგანაც ფეხბურთში ერთ ადგილზე გაჩერება უკუსვლის ნიშანია.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

შედით საიტზე atb.ge

# უნიკალური ფოტოები ეროვნულ არქივშია

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიაში ცნობილი ფოტოგრაფის ნიკოლოზ საღარაძის კიდევ ორი ფოტოალბომის რესტავრაცია დაიწყო. ამით დასრულდება 2009 წელს დაწყებული აღდგენა ფოტოკოლექციისა, რომელიც მთლიანობაში 15 ალბომს მოიცავს.**



კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივს ნიკოლოზ საღარაძემ მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოსურათების ალბომები გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გადასცა. ფოტოები აერთიანებს დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთა ტიპაჟებს. აქ ძირითადად წარმოდგენილია ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები, რომლებიც გადაღებულია ქუთაისში, ალექსანდრე მიხაილოვის ფოტოატელიეში. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნიკოლოზ საღარაძე სწორედ ამ ფოტოატელიეში მოღვაწეობდა. იგი ალექსანდრე მიხაილოვის მოწაფე და ნათესავი იყო.

ფოტოალბომებში წარმოდგენილი ფოტოები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. იგი, პირველ რიგში, ასახავს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დასავლეთ საქართველოში არსებულ ეთნოგრაფიულ სურათს. ფოტოებზე ასახულ ადამიანთა უმეტესობის ვინაობა უცნობია, თუმცა, აქ წარმოდგენილ რამდენიმე ფოტოს საკუთარი, გამორჩეული ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ფოტოალბომები მდიდარი მასალაა იმ მხატვარ-დეკორატორთათვის, რომლებიც ერთი საუკუნის წინანდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენების ამსახველი ფილმებისა თუ თეატრალური სპექტაკლებისათვის კოსტიუმების ესკიზებზე მუშაობენ.

რესტავრაციის პროცესში ალბომის ფოტოები და ალბომის გვერდები შესაბამისი მეთოდით იწმინდება, ალბომი ხელახლა იკინძება, ისმება ახალ ყდაში და ეკვრება ფოტოების დამცავი ფენა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივში დაცული ფოტოების მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. ეროვნული არქივის ფოტოსაძიებო ელექტრონულ პროგრამაში უკვე 100-მდე ადამიანი დარეგისტრირდა, რომელთა უმეტესობამ სისტემაში პირადი ალბომი შექმნა.

მომხმარებლები აქტიურად ჩაერთვნენ ფოტოების ანოტაციების რედაქტირების პროცესში, ასევე საიტის ადმინისტრაციას აწვდიან მათ ხელთ არსებულ დამატებით ინფორმაციას ამა თუ იმ ფოტოს შინაარსისა და ისტორიის შესახებ.

ეროვნული არქივის ფოტოსაძიებო პროგრამის პრეზენტაცია ცოტა ხნის წინ შედგა. ყველა დაინტერესებულ პირს სასურველი ფოტოს მოძიება ონლაინ რეჟიმში, ეროვნული არქივის ვებგვერდის მეშვეობით შეუძლია.

ელექტრონული კატალოგი შეიქმნა ეროვნული არქივის პროექტის „საქართველოს ფოტომემკვიდრეობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში, რომელიც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ დააფინანსა.

ელექტრონულ ბაზაში ამ დროისათვის 10.000-მდე ფოტო და მისი ანოტაციაა განთავსებული. ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის საცავებში თავმოყრილია 274.625 ერთეული ფოტომასალა — პოზიტივები და ნეგატივები, მათ შორის, მინაზე შესრულებული. ფოტომასალა პერიოდულად სკანერდება და ემატება ელექტრონულ ფოტოკატალოგს.

მოქნილი საძიებო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია ფოტოს მოძიება სხვადასხვა პარამეტრის — ავტორის, გადაღების თარიღის, ფოტოზე ასახული პირისა თუ მოვლენის მიხედვით.

სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, მონიშნოს და პირად ალბომში გადაიტანოს მისთვის საინტერესო ფოტოები, ასევე, საიტის ადმინისტრაციას გაუგზავნოს ინფორმაცია ფოტოს შინაარსის, აღწერილობის დაზუსტებისა და რედაქტირებისათვის. უახლოეს მომავალში კატალოგში ფოტოების არა მარტო შერჩევა, არამედ შეძენაც ონლაინ რეჟიმში იქნება შესაძლებელი.


ნიკოლოზ საღარაძის ფოტოსტუდიის თანამშრომლები

# დიდგორის ბრძოლიდან 890 წელი გავიდა

ეკა ირემაშვილი



12 აგვისტო დიდგორობის დღესასწაულია. ტრადიციულად, ამ დღეს ქართველი საზოგადოება დიდგორზე იკრიბება, სადაც ქართველი მომღერლები, სახალხო მთქმელები, მსახიობები, ფოლკლორული ანსამბლები შეიკრიბებიან და დილის ათი საათიდან საინტერესო სანახაობებს გამართავენ.

სადღესასწაულო სამზადისი ფესტივალში მონაწილეებმა რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული თეატრის სცენაზე გაიარეს. როგორც რუსთაველის თეატრის მმართველმა ზაალ ჩიქობავამ განაცხადა, დიდგორობა ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებულად გამორჩეული დღესასწაულია. ამ დღეს ქართველმა განსაკუთრებულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკების ურიცხვი არმია.

სპეციალურად დიდგორობისთვის დიდგორში სცენა დამონტაჟდა. ღონისძიებაში ქართული ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, ასევე ქართული საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენლები და მსახიობები არიან ჩართული. წარმოდგენილი იქნება მონო სპექტაკლიც, სადაც მსახიობები ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებს წაიკითხავენ.

დიდგორის ბრძოლას მეორენაირად ძლევაი საკვირველი ეწოდება. ისტორიკოსების სხვადასხვა წყაროში ნათქვამია, რომ მაჰმადიანთა ლაშქრის რაოდენობა 250-300 ათასიდან 500-600 ათასამდე მერყეობდა, დავით აღმაშენებლის ჯარში კი 56 ათასი მეომარი იყო. ბრძოლის დაწყების წინ ქართველთა მხრიდან 200 მხედარი მტრის ბანაკისაკენ გაემართა. მაჰმადიანებს ისინი მოღალატენი ეგონათ და თავიანთ ბანაკში შეუშვეს, სადაც მათ მოულოდნელი იერიში მიიტანეს მტერზე. სისხლისმღვრელი შეტაკება მხოლოდ სამ საათს გაგრძელდა. ილღაზის ლაშქარი დამარცხდა და გაიქცა. ამ გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ქვეყნის საბოლოო გათავისუფლება და დაიწყო ოქროს ხანა საქართველოს ისტორიაში. ამის შემდეგ კიდევ ასი წლის განმავლობაში საქართველოს არც ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა არ წაუგია.

დიდგორობის დღესასწაული ყოველი წლის 12 აგვისტოს აღინიშნება. წელს დიდგორის ბრძოლიდან 890 წელი შესრულდა. სახალხო დღესასწაული დილის 10:00 საათიდან დაიწყება და მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

## „პრავოე დელოს“ ლიდერი საქართველოს მიღწევებზე საუბრობს

რუსეთის პარტია „პრავოე დელოს“ ლიდერი მიხეილ პროხოროვი მიიჩნევს, რომ კორუფციასთან საქართველოს გამოცდილება საინტერესოა. ამის შესახებ მან დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პროხოროვის თქმით, საბჭოთა კავშირის ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა 7-8 წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, კორუფციისგან გათავისუფლდა.

მანვე პოზიტიურად შეაფასა საქართველოში ინვესტორებისთვის შექმნილი პირობები. პროხოროვის განმარტებით, საბაჟოდან დაწყებული სამართალდამცავებით დამთავრებული, საქართველოში შესულ ინვესტორს არანაირი წინააღმდეგობა არ ხვდება, რაც, მისი აზრით, დიდი მიღწევაა.

ამის მიუხედავად, როგორც პარტიის ლიდერმა განაცხადა, საქართველოში მას ბიზნესში პირადი გამოცდილება არ გააჩნია. საქართველოში შექმნილ ვითარებაზე კი თავისი მეგობრების გამოცდილების მიხედვით მსჯელობს.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს სიღარიბით ევროპა შეშფოთებულია

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ გამგეობის თავმჯდომარე სერგო ჯავახიძის თქმით, ევროსაბჭოს ასამბლეის მე-19 სესიაზე ევროპარალმენტარმა და მომხსენებელმა ჰიუნტერ კრუგმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში სიღარიბის დონის მაღალი მაჩვენებლის გამო.

ჯავახიძის ცნობით, საქართველოს მოსახლეობის 38 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, 14 პროცენტი კი — სრულ სიღარიბეში.

— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ევროსაბჭოს კონგრესის დელეგაციასთან შეხვედრაზე დაადასტურა, რომ საქართველოს 2 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მაშინ როცა მოქმედი რეჟიმი საუბრობს შემდგარ სახელმწიფოზე და ეკონომიკურ ზრდაზე. ევროსაბჭოს მონიტორები გაოგნებულები არიან, 35 პროცენტიანი უმუშევრობის პირობებში როგორ შეიძლება ხელისუფლება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე და სიღარიბის დაძლევაზე საუბრობდეს. მათ უკვირთ როგორ შეიძლება ამაზე საუბარი, როდესაც ქვეყანაში უმუშევრებზე არ გაიცემა შესაბამისი კომპენსაცია; საქართველოში არიან ისეთი ოჯახებიც, რომელთა შემადგენლობიდან უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ 1 ადამიანი მუშაობდეს, ხოლო უარეს შემთხვევაში ეს ოჯახები ცხოვრობენ ოჯახის მოხუცებული წევრებისათვის განკუთვნილი პენსიების საშუალებით,—აცხადებს სერგო ჯავახიძე და დასძენს, რომ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ მოითხოვს ხელისუფლების მხრიდან დაიწყოს საქართველოს უმუშევარ მოქალაქეთა აღრიცხვა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი თანხები უმუშევართათვის საარსებო მინიმუმის შესატყვისი კომპენსაციის გასაცემად.

**მედიანიუსი**

## საფრანგეთი ტიმოშენკოს დაკავების გამო შეშფოთებულია



— საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში უკრაინის ელჩი დაიბარეს და ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს დაკავების გამო თავიანთი შეშფოთება გამოხატეს, — იუწყება ლენტა.რუ.

წყაროს ცნობით, საფრანგეთის საგარეო უწყებაში ტიმოშენკოს დაკავების გამო ძალიან შეშფოთებულები არიან და ვარაუდობენ, რომ ექსპრემიერს დაცვის უფლება გარანტირებული არ აქვს.

ამის პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ უკრაინელი მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ოფიციალურმა პარიზმა ტიმოშენკოს დაკავების გამო კიევიდან ელჩი გაიწვია, სიმართლეს არ შეესაბამება და ჟაკ ფორი (საფრანგეთის ელჩი) უკრაინაში მუშაობას განაგრძობს.

**მედიანიუსი**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 4. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი; 5. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 8. მშვიდი, უშფოთველი ცხოვრება; 9. სპირტიანი სასმელების კონტრაბანდისტი აშშ-ში; 12. მხატვრული ნაწარმოების ამბის სქემატური, მოკლე შინაარსი, ძირითადი ქარგა; 14. ღვინის ძველებური საწყაო; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად:** 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 6. წითელი, წვრილმარცვლოვანი ნაყოფის მქონე მაგარნაჭუჭიანი ხილი; 7. სამეცნიერო ნაშრომის, ლექციის, სტატიის მოკლე შინაარსი; 9. ინგლისური მსუბუქი ავტომობილი; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 11. მუდმივი მყიდველი; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. მხატვრობის ერთ-ერთი ჟანრი; 18. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. წიაღისეულის მოპოვების ადგილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. აჟიოტაჟი; 4. „რიბოკი“; 7. „ბემბი“; 9. ლინზა; 12. ეთნოგენეზი; 14. სოპოტი; 15. კრაზანა; 17. მონასპა; 20. ბორტი.

**თარაზულად:** 5. საქარინი; 6. „რეჟანსი“; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. ათინათი; 16. კატალოგი; 18. ტონგა; 19. ხალთა; 21. პორტიე; 23. ანეკდოტი; 23. ტრაპეზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბატატი; 2. ხოჭო; 3. ფაქსიმილე; 4. კალია; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. ნიკარაგუა; 14. პუსანი; 16. ობამა; 18. მანეჟი.

**თარაზულად:** 1. ბურდუხანი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. „ნესტლე“; 10. დალი; 11. არაბიკა; 13. „პეპსი“; 15. ყაყაჩო; 17. „ბენიასა“; 18. კეხურა; 19. ტლანქი; 20. პალანგა.


# SMS-განცხადებები 3090

**იყიდება**

**❖ 1 ოთახი, ავეჯით, საერთო საცხოვრებლის 1 სართულზე, 1 სველი წერტილით, 10-12 კვ.მ, აფრიკის დასახლება, გუმადჰესის ქუჩა №12, ტელ.: 557-51-51-38.**

**❖ წითელი აგური, დიდი ზომის, 30 თეთრად, 1500 ცალი, წაღების შემთხვევაში 25 ცალს ვაჩუქებ. ტელ.: 558-21-64-39, ზურა.**

**❖ კვადროც, მუშა მდგომარეობაში, 500 ლარი, ლურჯი. ტელ.: 558-21-64-39.**

**❖ სასახლკარე ნაკვეთი, 1400 კვადრატული, 1 კვ.მ – 5 დოლარი. ბაზალეტის ტბიდან 1 კილომეტრში. ჰემი ნომერი 558-21-64-39.**

**❖ მიცუბიში აერტრეკი, ავტომატიკა, განარბენი – 170.000, 2001 წ. 7 თვის ჩამოყვანილი. თიპტრონიკი, ელექტროშუშები და სარკეები. Abs. მარცხენა საჭით. მოტორი 2. 0. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი: 8.500 § მობ: 599-19-39-49, მამუკა.**

# ანდერს ბრეივიკს ყველაფერი ვიდეოზე ჩაუწერია

ნორვეგიელი მანიაკი ტერორისტი, ანდერს ბრეივიკი, რომელიც კუნძულ უტოიაზე 69 ადამიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, სავარაუდოდ, თავის მოქმედებას ვიდეოკამერაზე იღებდა. ეს ინფორმაცია პროკურატურის წარმომადგენელ ქრისტიან ჰატლოს სიტყვების დამოწმებით „სქაინიუსმა“ გაავრცელა.

ჰატლოს თქმით, გამომძიებლებს გააჩნიათ არაპირდაპირი მინიშნებები, რომ ეჭვმიტანილმა კუნძულზე გამართული სისხლიანი სასაკლაო, რაც 72 წუთი გრძელდებოდა, თავიდან ბოლომდე ფირზე აღბეჭდა.

ეს ინფორმაცია პოლიციამ მისი მანიფესტიდან, გარდა ამისა, დაკითხვების დროს მიიღო.

22 ივლისს, უშუალოდ ტერაქტების წინ, ინტერნეტში გამოფენილ თავის 1500-გვერდიან მანიფესტში ბრეივიკი კუნძულზე თავდასხმის ვიდეოზე გადაღებისა და შემდეგ ვიდეომასალის სხვადასხვა მედიასაშუალებაში გაგზავნას გეგმავს, იმ იმედით, რომ მისი „დოკუმენტური ფილმი“ ეთერში მოხვდება.

„სამწუხაროდ, ამ მასალის ინტერნეტში ატვირთვა არანაკლებ სამ საათს მოითხოვს, რაც ალბათ შესაძლებელი არ იქნება“, — ამბობს ბრეივიკი თავის დოკუმენტში.

დაპატიმრებისას ბრეივიკს თან ვიდეოკამერა არ აღმოაჩნდა, თუმცა, პოლიციის ვარაუდით, იგი მან კუნძულზე დატოვა.

კუნძულზე კამერის ძებნას ჯერჯერობით შედეგი არ გამოუღია. საძიებო ოპერაციას ხელს უშლის დიდი რაოდენობით ვიდეო და ორგტექნიკა, რომელიც კუნძულზე ბანაკის 600-მდე ბინადარმა დატოვა. მათგან ბრეივიკის მიერ კუნძულ უტოიაზე მოკლული ყველა ადამიანი ამოცნობილია.

ორმაგი ტერაქტი ნორვეგიაში 22 ივლისს მოხდა. იქ შედეგად 77 ადამიანი დაიღუპა, 69 — კუნძულზე, დანარჩენები — ოსლოში აფეთქების დროს. თავდაპირველად აფეთქება მოხდა ოსლოში, სამთავრობო შენობის კომპლექსთან, სადაც პრემიერ-მინისტრის კანცელარია მდებარეობს, რამდენიმე საათის შემდეგ კი პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა მამაკაცმა მმართველი მუშათა პარტიის ახალგაზრდულ ბანაკში ცეცხლი გახსნა.

ტერაქტის ორგანიზების ბრალდებით დაკავებულია 32 წლის ნორვეგიელი ანდერს ბრეივიკი.

გ. თ.

# ხავი: „იდეალური არაფერია, მათ შორის „ბარსელონას“ თამაშიც“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

***— ტესტ-მატჩებში ენერგიას ხომ არ ზოგავდით? წინ ხომ მადრიდის „რეალთან“ 2 სასუპერთასო პაექრობა გელით.***

— არანაირად. ყველა მატჩს მონდომებით ვთამაშობდით, თუმცა, „რეალთან“ ჯახი მაინც უფრო მნიშვნელოვანი იქნება. ყოველმხრივ შევეცდებით, სეზონი ტიტულის მოგებით დავიწყოთ.

***— გინდათ თქვათ, რომ შარშანდელი ტრიუმფები უკვე დავიწყებას მიეცა?***

— ჩვენი მიზანი კარგად თამაში და მოგებაა. ამას კი თავისთავად, ტიტულები მოჰყვება. ასევე არიან განწყობილნი ჩემი თანაგუნდელებიც.

***— ხომ არ გეჩვენებათ, რომ პეპ გვარდიოლას განკარგულებაში აუცილებელზე ნაკლები რაოდენობის თავდამსხმელია?***

— ამ თვალსაზრისს კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. მესი, აფელაი, პედრო, ვილია და სანჩესი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდებენ.

***— საფეხბურთო სამყარო მადრიდის „რეალისგან“ კიდევ უფრო ძლიერად ათამაშებას ელოდება. როგორ გგონიათ, ჟოზე მოურინიო რაიმე სიურპრიზს გიმზადებთ?***

— ყოველთვის მოწინააღმდეგის ფეხბურთელებზე და მათ განზრახვის ჩაშლაზე ვფიქრობ, მათი მწვრთნელის ტაქტიკური ხაფანგები კი ნაკლებად გვაინტერესებს. „რეალს“ რაც შეეხება, მადრიდელებმა წინასასეზონოდ კარგი სატრანსფერო სამუშაო გასწიეს. განსაკუთრებით ძლიერი მათუ უკანა ხაზი გახდა. შემტევებსაც ვერაფერს დაუწუნებ, მაგრამ „ბარსელონას“ სამეფო კლუბი არ აფრთხობს — 3 წელია პირველობას არ ვუთმობთ, ამასთან, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც ვძლიეთ.

***— „ბარსელონა“ ესპანეთის სუპერთასისთვის საბრძოლველად უკვე მზადაა?***

— თადარიგში დრო კიდევ გვაქვს, რომელსაც ნაყოფიერად გამოვიყენებთ. პეპ გვარდიოლა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სათანადოდ გვამზადებს და მხოლოდ მოგებას გვისახავს მიზნად. ისე კი, ესპანეთის სუპერთასზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ტურნირები წინ გველის და ჩვენი უმთავრესი ამოცანა სწორედ მათი მოგებაა. უპირველესად, ცხადია, პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგას ვგულისხმობ.

# სამგლოვიარო განცხადებები

სამშობიარო „იმედის კლინიკის“ კოლექტივი იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა, პერსპექტიული მეან-გინეკოლოგი, თბილი მეგობარი, მოსიყვარულე შვილი, მამა და მეუღლე

**თამაზ კახიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მიკ ჯაგერი სანსკრიტზე მღერის



ლეგენდარული ანსამბლის, „როლინგ სთოუნზის“ სოლისტი მიკ ჯაგერი ახალ ალბომში, რომელიც მან ანსამბლ „სუპერჰევისთან“ ერთად ჩაწერა, სანსკრიტის ენაზე ამღერდა.

ეს ანსამბლი არცთუ დიდი ხნის წინ შეიქმნა, მაგრამ მასში ცნობილი მუსიკოსები გაერთიანდნენ, ისეთები, როგორიც არიან დაივ სტიუარტი, ჯოს სტოუნი, დემიან მარლი, ინდოელი მუსიკოსი ალა რაკჰა რაჰმანი, რომელმაც ფილმისათვის „მილიონერი ჯურღმულებიდან“ „ოსკარი“ მიიღო.

მიკ ჯაგერმა ისინი ერთად მიმდინარე წლის მაისში შეკრიბა, რათა, როგორც თავად განაცხადა, სხვადასხვა მუსიკალური სტილი გაეერთიანებინა.

„რაიმე მსგავსი აქამდე არ გამიკეთებია, — განაცხადა მან ჟურნალ „როლინგ სთოუნის“ ინტერვიუში, — ჩვენ მიერ შესრულებული მუსიკის დიაპაზონი უზარმაზარია, რეგიდან ბალადებამდე და ურდუს სიმღერებამდე“.

მიკ ჯაგერის მიერ სანსკრიტზე შესრულებულ სიმღერას „სატიამევა ჯაიატე“ ეწოდება, რაც „მხოლოდ სიმართლე იმარჯვებს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება, იმავდროულად, უძველესი ინდური გამონათქვამია.

ეს სინგლი „სუპერჰევის“ რიგით მეორეა.

„დეივმა მითხრა, რომ სურდა, ამ ალბომში ჩემი ხმა აჟღერებულიყო. გვსურს, რომ კლასიკური ინდური სიმღერა გამოგვივიდეს. დიდი ხანია ვოცნებობდი, მეორე სიცოცხლე მიმეცა იმ მორალური ფასეულობებისათვის, რაც ინდურ კულტურაშია ჩადებული და ისინი სიმღერის სახით გამომესახა“, — განაცხადა მან რაჰმანმა ინდური გამოცემის „პრეს თრასთის“ ინტერვიუში.

„ეს ნიშანდობლივი და ისტორიული მომენტია. იმედი მაქვს, საზოგადოებას იგი მოეწონება“, — აღნიშნა ჯეგერმა.

გ. თ.

# თამბაქოს წევა ქალებისათვის უფრო მავნებელია



როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, თამბაქოს წევა ინფარქტის რისკს ქალებში უფრო მეტად ზრდის, ვიდრე მამაკაცებში.

ამერიკელი მკვლევრების გამოკვლევაში, რომელმაც რამდენიმე ქვეყანა მოიცვა, მათ შორის სინგაპური, ნორვეგია და თურქეთი, 2.5 მილიონამდე ადამიანი მონაწილეობდა.

ჟურნალ „ლანსეთის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ქალის ორგანიზმი სიგარეტის შემადგენლობაში შემავალ მეტ ნიკოტინს ითვისებს.

როგორც გაირკვა, ქალებში თამბაქოს წევა ინფარქტს 25%-ით უფრო მეტად იწვევს, ვიდრე მამაკაცებში. ამასთან, მეცნიერებისათვის გაურკვეველია, თუ რით არის ეს განპირობებული.

გამოკვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ ქალის ორგანიზმი უფრო მგრძნობიარეა იმ მავნე ნივთიერებების მიმართ, რომლებსაც სიგარეტი შეიცავს.

მათი აზრით, ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომაა, რომ მწეველი ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად ავადდებიან ფილტვის კიბოთი.

საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებიც ცხოვრების ჯანსაღ წესს უწევენ პოპულარიზაციას, თამბაქოს ინდუსტრიას ქალებზე მიმართული სარეკლამო კამპანიის წარმოებაში ადანაშაულებს.

ისინი ამტკიცებენ, რომ სიგარეტის კოლოფებს ლამაზი წარწერები თუ არ ექნება, ადამიანები მათზე მოყვანილ გაფრთხილებებს თამბაქოს წევის მავნებლობის შესახებ უფრო მეტი გულისყურით მოეკიდებიან.

გ. თ.

# მისტერ ბინი ავარიაში მოყვა



ცნობილი ბრიტანელი კომიკოსი როუენ ეტკინსონი თავისი მილიონიანი ავტომობილით, „მაკლარენ ეფ1“-ით ავტოკატასტროფაში მოხვდა.

გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, რომ ავარია კემბრიჯშირში 4 აგვისტოს საღამოს მოხდა. ეტკინსონი საათში 370 კმ სიჩქარით მოძრაობდა და სველ გზაზე მანქანა ვერ დაიმორჩილა. მისი ავტომობილი სამჯერ გადატრიალდა ჰაერში და გზატკეცილიდან გადავარდა, ჯერ ხეს წამოედო, შემდეგ — საგზაო ნიშანს და ცეცხლი მოედო.

56 წლის მსახიობი იღბლიანი ყოფილა, რადგან რაიმე სერიოზული ტრავმის გარეშე გადარჩა. სამაშველო სამსახურის თანამშრომლების მოსვლამდე მანქანიდან დამოუკიდებლად გადმოსვლა მოახერხა.

ექიმების თქმით, მას მხარი მსუბუქად დაუშავდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, პიტერბოროს საავადმყოფოში მოათავსეს.

ეტკინსონი ცნობილია, როგორც სატელევიზიო სერიალ „მისტერ ბინის“ მთავარი როლის შემსრულებელი, გარდა ამისა, იგი განთქმულია სრულმეტრაჟიანი ფილმებით „მისტერ ბინი“, „მისტერ ბინი შვებულებაში“. მსახიობი მონაწილეობდა აგრეთვე ფილმებში „რეალური სიყვარული“, „ოთხი ქორწილი და დაკრძალვა“, „ვირთხების დოღი“.

კომიკოსს სწრაფი ავტომობილები უყვარს და ერთ-ერთ ჟურნალში თემატურ სვეტსაც კი უძღვება. დღეისათვის მის კოლექციაშია „ასტონ მარტინ ვირაჟი“, „როლს როისი“ და „მორის ტრეველერი“.

ეს ავარია მსახიობისათვის პირველი არ არის. 2001 წელს იორკშირში ავტომობილისტთა შეხვედრაზე თავისი „ასტონ მარტინით“ იგი ბარიერს შეეჯახა. 2009 წელს რომანტიკული პაემანის დროს მის 1952 წლის „იაგუარს“ ცეცხლი მოედო, იმავე წელს ნორთჰემთონშირში, სახლიდან გამოსვლის დროს ნაგვის საზიდ მანქანას დაეჯახა.

4 აგვისტოს, ინციდენტის დროს კი მსახიობმა სპიდომეტრზე ლამის მაქსიმალური სიჩქარის განვითარება შეძლო. გასული საუკუნის 90-იან წლებში „მაკლარენ ეფ1“ მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ავტომობილად ითვლებოდა. მისი მაქსიმალური სიჩქარეა საათში 372 კმ. ამ მარკის სულ 107 მანქანაა გამოშვებული. იგი აღჭურვილია 12-ცილინდრიანი და 6.1 ლ სამუშაო მოცულობისა და 627 ცხძ სიმძლავრის ძრავით. მისი წყალობით მანქანა 100 კმ სიჩქარეს 3.2 წამში ავითარებს.

მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ავტომობილის სტატუსი ამ მაკლარენმა 2005 წელს დაკარგა.

გ. თ.

# ლელა წურწუმია სოლოკონცერტისთვის ემზადება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კი ლელა წურწუმიამ საკუთარ სტუდიაში ჩაწერა და მასზე კლიპიც გადაიღო. სიმღერა კომპოზიტორ რუსა მორჩილაძეს ეკუთვნის, ტექსტი კი ირინა სანიკიძემ და დავით დოიაშვილმა დაწერეს. შემოქმედებითი ჯგუფის გადაწყვეტილებით, დასრულებული კლიპი ფილმის „დარჩი ჩემთან“ საქართველოს კინოთეატრებში გამოჩენამდე ერთი კვირით ადრე ტელევიზიებში დატრიალდება და ფილმის ერთგვარი წინასარეკლამო პიარი იქნება.

კლიპის პრემიერა ლელა წურწუმიას 30 სექტემბერს აქვს დაგეგმილი. ერთ კვირაში ზაზა ურუშაძის ნამუშევარი „დარჩი ჩემთან“ საქართველოს კინოთეატრებში გამოვა, ხოლო ოქტომბრის ბოლოს ლელა წურწუმია დიდ საკონცერტო დარბაზში 11-წლიანი განშორების შემდეგ კვლავ შეკრებს თავის ერთგულ მსმენელს და მათთვის ცოცხალი ბენდის თანხლებით თავისი რეპერტუარიდან საუკეთესო, კარგად ცნობილ ჰიტებსა და ახალ სიმღერებს შეასრულებს.

# TV პროგრამა

## პარასკევი 12 აგვისტო

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "**300** სპარტელის უკანასკნელი შერკინება" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** მხ. ფილმი "**შიდა პატიმრობა**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** თოქ-შოუ "არენა" **13.30** ავტოპილოტი **14.30** ვაშინგტონი დღეს **15.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **22.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი **წარმატების ტკბილი სურნელი**" (სუბტ.) **01.50** მოამბე **02.10** მხ. ფილმი "**საზღვრებს მიღმა**" (12) (სუბტ.) **04.20** მხ. ფილმი "**საბედისწერო ნდობა**" (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი იმპერიის მშენებლობა" **14.00** საუკუნის პორტრეტები – კ. ცინცაძე **17.00** მეხსიერება – ა. წერეთელი **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი "**მხსნელი**" **01.00** მხ. ფილმი "**საზღვრებს მიღმა**"

**08.00** კურიერი **08.20** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფილმი "ეშმაკური ლიგა" **09.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმფუყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სერ. "**მაშველები**" **13.30** ქართ. ფილმი **15.40** პროფილი (გან.) **18.45** "ამერიკის სასაცილო ვიდეოები" **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქურივი**" **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ (გან.) **23.00** თქვენი შოუ (გან.) **00.00** მელომანია (გან.) **01.00** ექსტრემალური შეჯიბრებები **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.45, 05.00** ქრონიკა **09.15** სერ. "**გმირები – 2**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **12.50** სერ. "**ფული და სექსი**" **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** უცნობი საქართველო **15.10** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** ქართ. ფილმი "**ერთხელ შუა ქალაქში**" **23.50** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.15** Play Boy იმედზე **02.10** მხ. ფილმი "**ბონი და კლაიდი**" (სუბტ.) **04.10** მხ. ფილმი "**რეალური სიყვარული**" (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია "დინოზავრი" **9.30, 12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **09.45, 11.00, 12.20, 14.30, 19.00, 23.30, 0.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00, 13.00, 22.30, 04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **15.30** ფარული კამერა **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10, 05.00, 07.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**სინდისის საკითხი**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. "**მეგობრები**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **21.00** სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "წელიწადის დრონი" **11.15** დოკ. ფილმი "შუშანიკის წამება" **11.35** დოკ. ფილმი "წმინდა მოწამენი ქართლისანი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ერთი ცის ქვეშ**" **13.20** კონცერტი – ანს. "შავნაბადი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**მოკვეთილა**" **17.30** მოკ. ფილმი "**ზღარბი**" **17.55** შვიდგზის ლოცვა **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**სინემა**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფილმი "ცოტნე დადიანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განათიადის კოლაჟი **01.25** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**12 აგვისტო**

აშშ დოლარი — 1,655

ევრო — 2,3691

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7259

რუსული რუბლი — 0,0582

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით 2§-31, ღამით — 16-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-39, ღამით — 21-22

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა წვიმა, დღისით — 24-25, ღამით — 14-16

## ამინდის პროგნოზი 12 აგვისტოსთვის



# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

## ჟურნალი

ფასი: 69 თეთრი



**როგორ დარჩა ეთერ კაკულია ბუდაპეშტში**

**კობა ხაბაზი: „თურქეთში 230 კილომეტრი ფეხით მოვიარე და ჩვენი ტაძრები ვნახე“**

**დოდო ხურცილავა: „ქალი თუ კარგ ხაჭაპურს აკეთებს, ის უკვე ყველაფერს გააკეთებს“**



# ზესტაფონში მეოთხე კატეგორიის სტადიონს ელიან



რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ განაცხადა, რომ ზესტაფონის დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი მალე მეოთხე კატეგორიის გახდება. მოვიძიეთ მაკეტი და სწორედ ამგვარი იქნება ფეროელთა არენა განახლების შემდეგ.

ამჟამად სტადიონს მხოლოდ ორი ტრიბუნა აქვს, რეკონსტრუქციის პროექტით კი კიდევ ორის დამატებაა გათვალისწინებული. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობა, ამას გარდა, „დავით აბაშიძის“ ყოველმხრივ კეთილმოწყობას და ყველა საერთაშორისო სტანდარტის გათვალისწინებას აპირებს.

22 აგვისტოს ზესტაფონს უეფას წარმომადგენელი ეწვევა, რომელიც პროექტს დეტალურად გაეცნობა და კლუბს საჭირო რეკომენდაციებს მისცემს. ცხადია, ასეთი მასშტაბური სამუშაოს განხორციელებისას წვრილმანი არ არსებობს და თითოეულ დეტალს უდიდესი ყურადღების მიქცევა სჭირდება, რათა საერთაშორისო მატჩებისას ძველი ინციდენტები აღარ გამეორდეს.

ინფრასტრუქტურა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა და განახლებული „დავით აბაშიძე“ არა მხოლოდ „ზესტაფონს“, საქართველოს ნაკრებ გუნდებსაც დიდ სამსახურს გაუწევს.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 12 აგვისტოსთვის

**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, იაქტიურეთ. **ლომი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ქალწული** — ყურადღების ცენტრში ხართ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **სასწორი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** — არ იაქტიუროთ, ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — ყველა საქმე გამოგდით, რასაც კი ხელს მოჰკიდებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



— სკანვორდს ვკითხულობდი. შეკითხვა: რა უბოძა ღმერთმა ადამს? სამასოიანი სიტყვა. დავფიქრდი, ევა რატომღაც გვიან გამახსენდა...

* * *

— იცით თუ არა, რომ მომჭირნე დიასახლისი სათალს თხელ ნაჭრებად ჭრის, ხოლო ეშმაკი სტუმარი ხუთ-ხუთს ჭამს?

* * *

— შარვალი სად დაისვარე? — ეკითხება დედა სკოლიდან დაბრუნებულ შვილს.

— მე ხომ არ გეკითხები, კოლგოტკებს წარამარა სად იგლეჯ? — პასუხობს შვილი.

* * *

— თქვენ მართლა ყველაზე საშინელი ადამიანი ხართ?

— არ ვიცი, მაგრამ, ღამ-ღამობით სასაფლაოზე რომ დავდივარ, ყველა გასუსული წევს...

* * *

— რჩევა გინდათ? მე არავის არასდროს არაფერს ვურჩევ და არც თქვენ გირჩევთ...

* * *

— საბავშვო ბაღში ამნისტიის შემდეგ ოთხი კუთხე გათავისუფლდა...

**გ. თ.**

# ლელა წურწუმია სოლოკონცერტისთვის ემზადება

*ეკა ირემაშვილი*



ქართველი მომღერალი ლელა წურწუმია 11-წლიანი პაუზის შემდეგ გრანდიოზული სოლოკონცერტისთვის ემზადება, რომელიც შემოდგომაზე დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება.

მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულია და ყველა დასვენებას გეგმავს, ლელა წურწუმიას დასვენებისა და განტვირთვისთვის სულაც არ სცხელა. იგი საკუთარ ხმის ჩამწერ სტუდიაშია შეკეტილი და კონცერტისთვის შერჩეულ რეპერტუარზე აქტიურად მუშაობს. ლელა წურწუმიამ საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდია „ლელა სტუდიო“ გასული წლის მიწურულს გახსნა და ყველა მომღერალს კარი ფართოდ გაუღო. ლელას სტუდიაში უკვე იმუშავა დუეტმა „ჯორჯიამ“. მომღერლის სტუდიაში არცთუ ისე პოპულარული ე.წ. არანჟიროვშჩიკები მუშაობენ, თუმცა, ეს სულაც არ აგდებს სიმღერის ჩაწერისა თუ შექმნის ხარისხს, პირიქით, ლელას სტუდიიდან ბევრი კმაყოფილი გამოდის. საქართველოში მომღერლის მიერ საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიის გახსნა მოდაში შემოვიდა. თბილისში საკუთარი სტუდია უკვე აქვთ ნინო ჩხეიძეს, გიგა კუხიანიძეს, მანჩოს, სოფო ხალვაშს, „სეიშენს“, ნინა წკრიალაშვილს, სტეფანეს, ბედინას, მასტერას.

სოლოკონცერტისთვის მზადების პარალელურად, ლელა წურწუმიამ უკვე დაასრულა მუშაობა რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმზე „დარჩი ჩემთან“, რომელიც მელოდრამაა და მომღერლისთვის პირველი სერიოზული პროფესიული სამუშაოა. ლელა წურწუმია პროფესიით მსახიობია, ამიტომ მისთვის ასეთ ფილმზე მუშაობა პირველ რიგში დიდი სიამოვნება და შემდეგ უკვე დიდი გამოცდილებაა. ფილმის გადაღებები 33 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. სპეციალურად ამ როლისთვის მომღერალმა დიეტა დაიცვა და 12 კილოც დაიკლო.

„დარჩი ჩემთან“ მელოდრამაა. მასში მოთხრობილია სტუდენტისა და მასზე 20 წლით უფროსი ცნობილი მომღერალი ქალის სიყვარულის ისტორია.

სპეციალურად ფილმისთვის საუნდტრე-

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 2. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 3. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 4. ქართული ნაციონალური კერძი; 7. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 9. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 12. კინოფილმის დამფინანსებელი; 14. მინერალური წყალი იმერეთში; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 17. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. ქიმიური ელემენტი, მომწვანო-მოყვითალო ფერის მახრჩობელა აირი.

**თარაზულად:** 5. მეცნიერული ნაშრომის მოკლე შინაარსი; 6. სიცილიური ტკბილი სადესერტო ღვინო; 8. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 10. სამახსოვრო საჩუქარი; 11. კომბინაცია პოკერში; 13. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 16. დუქნის დახლიდარი; 18. უბანი თბილისში; 19. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. ფოლადის კარკასი, რკინა-ბეტონის კონსტრუქცია; 23. მუქი ფერის შემაგრებული ბრიტანული ლუდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# რამდენად ახლოს ხართ კონფლიქტთან

## ტესტი

**ტესტის შეკითხვებს პასუხად შეურჩიეთ: ა. არა, ასე არ არის (1). ბ. ალბათ ასეა (2). გ. ასეა (3). დ. ნამდვილად ასეა (4)**

1. მშვიდად ვარ.
2. არავითარი საფრთხე არ მემუქრება.
3. დაძაბული ვარ.
4. სინანულს ვგრძნობ.
5. თავს თავისუფლად ვგრძნობ.
6. განაწყენებული ვარ.
7. მაღელვებს შესაძლო წარუმატებლობა.
8. თავს დასვენებულად ვგრძნობ.
9. შეშფოთებული ვარ.
10. შინაგან კმაყოფილებას ვგრძნობ.
11. საკუთარ თავში დარწმუნებული ვარ.
12. ვღელავ.
13. ადგილს ვერ ვპოულობ.
14. აღგზნებული ვარ.
15. დაძაბული არ ვარ.
16. კმაყოფილი ვარ.
17. მიხარია.
18. მსიამოვნებს.
19. გაოგნებული ვარ.
20. ძალიან აღგზნებული ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ.

### პასუხები

**20-40 ქულა:** აღგზნებადობის დაბალი დონის შესაბამისია. კონფლიქტი ამჟამად არ გემუქრებათ.

**40-60 ქულა:** აღგზნებადობის საშუალო დონე. რაც უფრო მეტად უახლოვდებით 60 ქულას, მით უფრო მეტად იზრდება კონფლიქტის შესაძლებლობა.



**60-80 ქულა:** თუ ახლა დილაა და ტესტი სამსახურში შეავსეთ, მიდით უფროსთან და დაეთხოვეთ, სანამ რამე უბედურება არ დაატრიალეთ. თუ საღამოა და სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდება, შეეცადეთ, შინისაკენ მიმავალ გზაზე არავის დაელაპარაკოთ. შინ მისულმა ორი საათი დაისვენეთ, თუ ძაღლი ან კატა გყავთ, იგი ამ დროის ერთ საათამდე შემცირებაში დაგეხმარებათ.

**გ. თ.**